



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

G-PRIED

Georgia Primary Education Project
საპარტოვო დაწესებულებების განვითარების პროექტი

მშობელთა ჩართულობა



რეკომენდაციები

დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

G-PRIED

Georgia Primary Education Project
საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის

მშობელთა ჩართულობა

თბილისი
2015

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალის შინაარსზე პასუხისმგებელია შემდგენელთა ჯგუფი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.

სარჩევი

1. რას ნიშნავს მშობელთა ჩართულობა?	3
2. მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობა.....	4
სარგებელი მოსწავლისთვის.....	4
სარგებელი მშობლისთვის	5
სარგებელი მასწავლებლისთვის	6
სარგებელი სკოლისთვის.....	6
3. მშობელთა ჩართულობის მხრივ არსებული მდგომარეობა საქართველოში	7
4. მშობელთა ჩართულობა	9
რა არის მშობელთა წარმატებული ჩართულობა?	9
რა არის მშობელთა წარმატებული ჩართულობის ბარიერი?	9
კომუნიკაციის გაუმჯობესება.....	10
ასწავლეთ მშობლებს და მასწავლებლებს	13
პერსონალიზაცია	15
აქტივობების ჩამონათვალი სკოლებისთვის.....	18
დასკვნა	24
რესურსები სკოლებისთვის	25
სკოლის აქტივობების ჩამონათვალი: იდეების პრაქტიკული განხორციელება	25
პუნქტების ჩამონათვალი, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს მშობელთა ჩართულობის პროგრამაში	26
ჩამონათვალი თქვენი სკოლის გარემოს შეფასებისთვის	27
მშობელთა ჩართულობის კვლევა.....	28
მშობელთა კმაყოფილების კვლევა	31
მშობელთა ჩართულობის კვლევა – სახლი/სკოლა.....	34
მშობელთა ჩართულობის აქტივობების დაგეგმვა	39

1. რას ნიშნავს მშობელთა ჩართულობა?

როდესაც მშობელი ჩართულია შვილის განათლების პროცესში, მოსწავლეს აქვს უფრო მაღალი აკადემიური მოსწრება, გამოცდებისა და ტესტების უკეთესი შედეგები. ამავე დროს უმჯობესდება დასწრების მაჩვენებელი, მოსწავლეს უვითარდება სოციალური უნარები და მისი ქცევა პოზიტიური ხდება როგორც სახლში, ასევე სკოლაში. ეს არის ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეზე, როგორც სკოლაში სწავლის პერიოდში, ასევე მომავალი პროფესიული საქმიანობის პროცესში. მაგრამ როგორ შეუძლიათ მშობლებს, ეფექტიანად ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში და როგორ შეუძლია სკოლას მათი მხარდაჭერა? რას ნიშნავს ზუსტად „მშობელთა ჩართულობა“?

ტერმინი „მშობელთა ჩართულობა“ აღნიშნავს ერთობლივ და უწყვეტ პასუხისმგებლობას მოსწავლეთა მიღწევებისა და სწავლის გაუმჯობესებაზე, როგორც შინ, ასევე სკოლაში. ის აერთიანებს მშობლებსა და მასწავლებლებს, რათა მათ ერთიანი ძალისხმევით შეუწყონ ხელი მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. „მშობელთა ჩართულობა“ ნიშნავს მშობლების მონაწილეობას რეგულარულ, მრავალმხრივ კომუნიკაციაში, მოსწავლის სასწავლო პროცესში და სკოლის სხვადასხვა ღონისძიებებში. ამ დროს:



- ✓ მშობლები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს შვილის სწავლის პროცესში;
- ✓ მშობლები მონაწილეობენ სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში;
- ✓ მშობლები შვილების სწავლის პროცესში არიან ჩართული, როგორც სრულუფლებიანი პარტნიორები და მონაწილეობენ ბავშვის განათლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

მშობლებისთვის „მშობლის ჩართულობა“ შეიძლება გულისხმობდეს:

- ✓ შეძლებისდაგვარად მეტ სასკოლო ღონისძიებაზე დასწრებას;
- ✓ ბავშვის მიერ კარგად შესრულებული სამუშაოს წახალისებასა და ქებას მშობლის მხრიდან;
- ✓ სკოლისთვის რეალური მოთხოვნების დასახვას;
- ✓ მასწავლებლებთან რეგულარულ შეხვედრებსა და მათი შვილის პროგრესის განხილვას;
- ✓ საშინაო დავალების შესრულებაში მოსწავლის დახმარებას;

დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის მშობლების ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში ნიშნავს:

- ✓ მშობლების უზრუნველყოფას შესაბამისი ინფორმაციით მათი შვილების პროგრესის შესახებ;
- ✓ მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდებას სკოლის ღონისძიებების თაობაზე;
- ✓ რეგულარული შეხვედრების ორგანიზებას მოსწავლეების პროგრესის განხილვის მიზნით.

მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ტერმინი „მშობელი“ არ ეხება მხოლოდ დედას ან მამას. მშობელი შეგვიძლია ვუწოდოთ ყველა იმ პირს, ვინც ჩართულია ბავშვის აღზრდაში. როგორც წესი, დედ-მამა ზრუნავს ბავშვის აღზრდა-განათლებაზე, მაგრამ მათ გარდა, ბავშვის აღზრდაზე ხშირად პასუხისმგებლობას იღებენ ბებიები, ბაბუები, დეიდები, მამიდები, ბიძები, დედინაცვალი, მამინაცვალი, მეურვე, ძიძა და სხვ. ამ დოკუმენტში ტერმინი „მშობელი“ გულისხმობს ყველა იმ ზრდასრულ პირს, ვინც პასუხისმგებელია ბავშვის აღზრდასა და კეთილდღეობაზე.

2. მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობა

სკოლის ცხოვრებაში მშობლების ჩართულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა წარმატებისთვის. როგორც არ უნდა იყოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, მშობლის მონაწილეობა შვილის განათლების პროცესში მოსწავლის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს. კვლევების თანახმად, მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, უკეთეს შედეგებს აღწევენ: იღებენ უკეთეს ნიშნებს, აქვთ უფრო მაღალი აკადემიური მიღწევები და უფრო ხარისხიანად შესრულებული საშინაო დავალებები, მათი დასწრების მაჩვენებელი უფრო მაღალია და გამოირჩევიან პოზიტიური ქცევით, კეთილგანწყობილი არიან სკოლის მიმართ და აქვთ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა.

მშობელთა ჩართულობა დადებითად აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებაზეც. სასწავლო პროცესში მშობელთა აქტიურობა ამდიდრებს სკოლის კულტურას და ხელს უწყობს მის განვითარებას. ამდენად, უკეთესი შედეგების მისაღწევად სკოლა და მასწავლებელი დაინტერესებული უნდა იყოს მშობლებთან აქტიური თანამშრომლობით.

მშობელთა აქტიური ჩართულობა დადებითად აისახება სასკოლო საზოგადოებაზე, მასწავლებლებზე, მშობლებზე და მოსწავლეებზე. ქვემოთ განვიხილავთ თითოეული ჯგუფის სარგებელს.

სარგებელი მოსწავლისთვის

როდესაც მშობელი ჩართულია ბავშვის განათლების პროცესში, მოსწავლეს უკეთესი მიღწევები აქვს, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ოჯახის სოციალურ-ეკონომიური სტატუსი, ეთნიკური წარმომავლობა თუ მშობელთა განათლების დონე.

- ✓ მოსწავლე, რომლის მშობელიც ჩართულია შვილის განათლების პროცესში, უფრო წარმატებით ამთავრებს სკოლას და სწავლის გაგრძელების უკეთესი შესაძლებლობები და პირობებიც აქვს;



მშობლებთან ერთად კითხვა შეაყვარებს მოსწავლეებს წიგნებს

- ✓ სტატისტიკური მონაცემებით, თუ მშობლებს არ აქვთ ურთიერთობა მასწავლებლებთან ან არ არიან დაინტერესებული სკოლაში მიმდინარე მოვლენებით, მათი შვილების აკადემიური მოსწრება სხვა ბავშვებისაზე უფრო დაბალია;
- ✓ როდესაც მშობლები ჩართული არიან სკოლის ცხოვრებაში, მოსწავლეები უფრო დადებითად არიან სკოლის მიმართ განწყობილი და საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენაც მეტი აქვთ;
- ✓ მოსწავლეებს, რომელთა მშობლები აქტიურად არიან ჩართული სკოლის ცხოვრებაში, უკეთესი ქცევა გამოარჩევთ და მათ წინააღმდეგ გამოყენებული დისციპლინური სანქციების საშუალო მაჩვენებელიც შედარებით დაბალია;
- ✓ სკოლის ცხოვრებაში მონაწილე მშობლების შვილებს უფრო კარგი ურთიერთობები აქვთ როგორც მასწავლებლებთან, ასევე ოჯახის წევრებთან;
- ✓ განსხვავებული კულტურული გარემოდან გამოსული მოსწავლეები უფრო წარმატებით სწავლობენ, როდესაც მშობლები და მასწავლებლები ერთობლივად ცდილობენ ოჯახსა და სკოლაში არსებული კულტურული განსხვავებულობების ურთიერთშეთანხმებას.

სარგებელი მშობლისთვის

მშობელთა ჩართულობა მნიშვნელოვანია როგორც მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებისათვის, ასევე მშობლის უნარ-ჩვევების განვითარებისთვისაც. იცვლება მშობლის სოციალური, ემოციური მხარე და პიროვნული თვისებები.

ბავშვის განათლების პროცესში მონაწილეობის შედეგად მშობელი:

- ✓ უფრო გამგები ხდება საკუთარი შვილის მიმართ;
- ✓ უფრო დიდ ყურადღებას უთმობს ბავშვის სოციალური, ემოციური და ინტელექტუალური განვითარების საჭიროებებს;
- ✓ ხდება უფრო მზრუნველი, ნაკლებად მკაცრი შვილის მიმართ და უფრო მეტად აფასებს შვილის მიღწევებს;
- ✓ ხდება უფრო თავდაჯერებული და სიამოვნებით ერთვება ბავშვის განათლებისა და აღზრდის პროცესში;
- ✓ უფრო თავდაჯერებული არის გადაწყვეტილების მიღებისას;
- ✓ მეტ ყურადღებას აქცევს საკუთარი ცოდნის დონისა და უნარ-ჩვევების ამაღლებას;
- ✓ უფრო წარმატებით იყენებს სხვადასხვა შესაძლებლობებს საკუთარი ოჯახისა და შვილის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად;



მშობლებთან ერთად მათემატიკის სწავლა შეაყვარებს მოსწავლეებს საგანს

- ✓ შვილს აძლევს საშუალებას, უფრო თამამად გამოთქვას საკუთარი შეხედულებები და პრობლემები. უფრო პოზიტიურ ურთიერთობებს ამყარებს თავისი შვილის მასწავლებლებთან;
- ✓ უფრო სრულყოფილად ფლობს ინფორმაციას ბავშვის მდგომარეობის შესახებ და დროულად იღებს ზომებს მისი პრობლემების მოსაგვარებლად.

სარგებელი მასწავლებლისთვის

მშობლებთან აქტიური თანამშრომლობა მასწავლებელს ეხმარება, გახდეს უფრო თავდაჯერებული.



მშობლებს შეუძლიათ გამოიყენონ ყველა საშუალება, რომ ასწავლონ ბავშვებს

- ✓ მასწავლებლებს უჩნდებათ მეტი პატივისცემა საკუთარი პროფესიის მიმართ;
- ✓ ისინი უფრო კმაყოფილი არიან საკუთარი საქმიანობით და მისი შედეგებით.

მშობელთა ჩართულობა ზრდის კომუნიკაციის ხარისხს მშობლებსა და მასწავლებლებს შორის, რაც ეხმარება პედაგოგს, სისტემატურად იღებდეს ამომწურავ ინფორმაციას ბავშვის შესახებ. მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე სასწავლო პროცესის მორგება კი მასწავლებელს სასურველ შედეგს მისცემს.

სარგებელი სკოლისთვის

მშობელთა ჩართულობა დადებითად აისახება ზოგადად სკოლაზე:

- ✓ სკოლას მეტი მხარდაჭერა აქვს მშობლებისგან;
- ✓ იზრდება სკოლის იმიჯი საზოგადოებაში;
- ✓ სასკოლო პროგრამები, რომლებშიც მონაწილეობენ მშობლები, უფრო წარმატებულია, ვიდრე ის პროგრამები, რომლებშიც მშობლები არ მონაწილეობენ;
- ✓ სკოლებში, სადაც მოსწავლეთა მოსწრება ძალიან დაბალია, მშობლების ჩართულობის გაზრდის შემდეგ ეს მაჩვენებელი აშკარად უმჯობესდება.

3. მშობელთა ჩართულობის მხრივ არსებული მდგომარეობა საქართველოში

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) მიერ 2012 წელს საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანი იყო სასკოლო-საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების (დირექტორის, მასწავლებლის, მშობლის) აზრის გამოკითხვა მშობელთა ჩართულობის მოდელის შესახებ და საქართველოში არსებული სიტუაციის შესწავლა მშობელთა ჩართულობის მოდელის რეალობაზე მოსარგებად.

აღნიშნულმა კვლევამ დაადასტურა სკოლების ხელშეწყობის აუცილებლობა მშობელთა ჩართულობის მიმართულებით. გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ მშობელთა ჩართულობის საკითხში სკოლების ადგილმდებარეობის მიხედვით განსხვავებულ სირთულეებს ვაწყდებით.

საქართველოს სკოლების გამოკითხვის შედეგები მშობელთა ჩართულობის კუთხით:

რა სირთულეებს აწყდებიან დირექტორები, მასწავლებლები და მშობლები საქართველოს ქალაქებსა და რეგიონებში?			
N	დირექტორები	მასწავლებლები	მშობლები
ზოგადი ინფორმაცია			
1	მშობლების უარყოფითი დამოკიდებულება სწავლების ახალი მეთოდების მიმართ	მშობლების მიერ აღზრდის არასწორი მეთოდების გამოყენება	სკოლის მიერ არასაკმარისი ინფორმაციის მიწოდება
2	მშობლების დროის სიმცირე/დატვირთული გრაფიკი მშობელთა მხრიდან	შვილებისათვის არასაკმარისი დროის დათმობა	მშობელთათვის „გაუგებარი“ სახელმძღვანელოები
3	მოსწავლის ოჯახის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები	მშობლების დაბალი ინტერესი შვილების სასკოლო ცხოვრების მიმართ	
4	მშობლები უცხოეთში ცხოვრობენ	მშობლების უნდობლობა მასწავლებლის მიმართ	
თბილისი			
1	მშობლების უარყოფითი დამოკიდებულება სწავლების ახალი მეთოდების მიმართ	მშობლების მიერ აღზრდის არასწორი მეთოდების გამოყენება	სკოლის მიერ არასაკმარისი ინფორმაციის მიწოდება
2	მშობლების დროის სიმცირე/დატვირთული გრაფიკი	შვილებისათვის არასაკმარისი დროის დათმობა	მშობელთათვის „გაუგებარი“ სახელმძღვანელოები
3	მოსწავლის ოჯახის სოციალური პრობლემები		
მაღალმთიანი რაიონები			
1	მშობლების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები	მშობლების დაბალი ინტერესი შვილების სასკოლო ცხოვრების მიმართ	შერჩეულ სახელმძღვანელოებს მშობლები უარყოფითად აფასებენ
2	სკოლების ხელთ არსებული რესურსების სიმცირე	მშობელთა და მოსწავლეთა მიერ უფლება-მოვალეობების არცოდნა	ბავშვების სხვადასხვა ინიციატივების უგულვებელყოფა
არაქართულენოვანი სკოლები			
1	მშობელთა განათლების დაბალი დონე	ოჯახიდან მომდინარე ხელისშემშლელი ფაქტორები (მაგ. მოსწავლის ადრეული	ბილინგვური სახელმძღვანელოების არ არსებობა

რა სირთულეებს აწყდებიან დირექტორები, მასწავლებლები და მშობლები საქართველოს ქალაქებსა და რეგიონებში?			
N	დირექტორები	მასწავლებლები	მშობლები
	დაოჯახება)		
2	შვილების განათლების პროცესში ჩართვის დაბალი მოტივაცია მშობლებში	მშობელთა მიერ აღზრდის არასწორი მიდგომების გამოყენება	სკოლის მხრიდან მშობლებისთვის არასაკმარისი ინფორმაციის მიწოდება
	უყურადღებობა მშობლების მხრიდან		
ქალაქები/დაბა			
1	მშობლები უცხოეთში ცხოვრობენ	მშობლების უნდობლობა მასწავლებლის მიმართ	მშობლებს არ ესმით სწავლების ახალი მეთოდები
2	ოჯახის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები	მშობლების „ინტრიგანული“ ქცევები	მშობლები ვერ იგებენ შეფასების ახალ სისტემას
3			მშობლებს არ მოსწონთ სახელმძღვანელოები

2012 წლის კვლევის შედეგების საფუძველზე საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით შემუშავდა მშობელთა ჩართულობის მოდელი.

ქართულ რეალობაზე მორგებული მოდელი ითვალისწინებს შესაბამისი მასალების ინტეგრირებას დირექტორებისა და მასწავლებელთა ტრენინგ-პროგრამებში და მშობლებისთვის სავარჯიშოების, აქტივობების ბარათებისა და რეკომენდაციების მომზადებას, რომლებიც დაეხმარება მშობლებს და მათ შვილებს, უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, დამეგობრდნენ, დაეხმარონ ერთმანეთს სოციალური გამოცდილებისა და ცოდნის შეძენაში.

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტია. მისი მიზანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერა კითხვასა და მათემატიკაში დაწყებითი კლასების (I-VI) მოსწავლეების მიღწევების გაუმჯობესებაში.

მიზნის მისაღწევად G-PriEd-ი დაწყებითი კლასების მასწავლებლებს სთავაზობს ინოვაციურ ტრენინგ-პროგრამებს, საპილოტე სკოლებს ხელს უწყობს სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების პროგრამის დანერგვასა და განხორციელებაში. იმის გათვალისწინებით, რომ მშობელთა ჩართულობა მოსწავლის სწავლის პროცესში და ზოგადად სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, G-PriEd-ი ხელს შეუწყობს სკოლებს მშობელთა ჩართულობის კომპონენტის განვითარების პროცესში.

4. მშობელთა ჩართულობა ¹

მშობელთა ჩართულობით მიღებული სარგებელი ნათელია: კვლევებმა ცხადყო, რომ მშობელთა ჩართულობა არა მხოლოდ მოსწავლეთა ყოფაქცევასა და დასწრებას აუმჯობესებს, არამედ დადებითად მოქმედებს მოსწავლეთა მიღწევებზეც. მიუხედავად ამისა, მრავალი სკოლა ჯერ კიდევ ცდილობს, განსაზღვროს და გაზომოს მშობელთა ქმედითი მონაწილეობა და ბევრი მათგანი ვერ გრძნობს, რომ მათი ძალისხმევა წარმატებული აღმოჩნდა. ამერიკელი მასწავლებლების ბოლოდროინდელი გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ ახალი პედაგოგების 20 პროცენტი და დირექტორების თითქმის ერთი მეოთხედი სამსახურებრივი სტრესის მნიშვნელოვან მიზეზად მშობლებთან მათ ურთიერთობას ასახელებს (MetLife, 2005).

რა არის მშობელთა წარმატებული ჩართულობა?

მშობელთა წარმატებული ჩართულობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც მშობლის აქტიური, რეგულარული მონაწილეობა მისი შვილის განათლებაში. ჩართულობის გამოვლენა შინაგან არის შესაძლებელი – როდესაც მშობელი შვილებთან ერთად კითხულობს, საშინაო დავალების მომზადებაში ეხმარება და სკოლაში მიმდინარე მოვლენებს განიხილავს. ზოგ სკოლაში მშობელს შეუძლია, ნებაყოფლობით მონაწილეობა მიიღოს კლასის საქმეებში. ასეთი სკოლები მშობლებთან რეგულარულად ურთიერთობენ და სასწავლო პროცესში რთავენ მათ.

რა არის მშობელთა წარმატებული ჩართულობის ბარიერი?

ხშირ შემთხვევაში სკოლები მშობლებს არ რთავენ თავიანთ საქმიანობაში, რადგან ჰგონიათ, რომ ისინი თავს ვერ გაართმევენ. „ეს უფრო წინასწარი მცადი აზრია. მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ ოჯახებს არ უნდათ მონაწილეობის მიღება, როცა სინამდვილეში ოჯახებმა არ იციან, როგორ მიიღონ მონაწილეობა“, განაცხადა კარენ სალინასმა (სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებასთან პარტნიორობის ცენტრის კომუნიკაციების დირექტორი, ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი, სკოლაში მშობელთა ჩართულობის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მხარდამჭერი).

თავის მხრივ, მშობლები ზოგჯერ თავს იკავებენ სკოლაში მიმდინარე პროცესებში ჩართვისგან, რადგან მათ ცოტა თავისუფალი დრო აქვთ ან იმიტომ, რომ ისინი კარგად არ ლაპარაკობენ ქართულად. ასევე, ერთ-ერთი დიდი პრობლემა სკოლასა და ოჯახებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობაა; მშობლები თვლიან, რომ მათ სკოლაში სიხარულით არ ელიან. ეს ნაწილობრივ შედეგია მიღებული, ხშირად უარყოფითი, გამოცდილებისა, რაც აფიქრებინებთ, რომ მშობლის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში დადებით შედეგს არ მოიტანს.

კომუნიკაციის სფეროში არსებული ბარიერების მიუხედავად, როგორც სკოლებს, ასევე მშობლებს სურთ, რომ ურთიერთობები უფრო ინტენსიური გახდეს, თუკი ეს მოსწავლეებისთვის სასარგებლო იქნება. Public Agenda-ს – კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაციის – მიერ 2003 წელს ჩატარებული 25-ზე მეტი საზოგადოებრივი აზრის კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ პედაგოგების 65 პროცენტის აზრით, მათი მოსწავლეებისათვის უკეთესი იქნებოდა, თუ მათი მშობლები უფრო მეტად იქნებოდნენ ჩართული, ხოლო 72 პროცენტს მიაჩნია, რომ ბავშვები, რომელთა მშობლები არ მონაწილეობენ სკოლაში მიმდინარე

¹ადაპტირებული: The Center for Comprehensive School Reform and Improvement. (August, 2005). Meeting the Challenge: Getting Parents Involved in Schools. Washington, DC: ავტორი.

პროცესებში, ზოგადად არ იღებენ მშობლებისგან იმდენ ყურადღებას, რამდენიც სასურველი იქნებოდა (Johnson & Duffett, 2003).

სკოლები, რომლებიც წარმატებულები არიან მშობელთა ჩართულობაში, არ მოქმედებენ მხოლოდ ჩართულობის მარტივი განსაზღვრების ჩარჩოებში. ისინი არ შემოიფარგლებიან მხოლოდ კრებებზე დამსწრე ან ღონისძიებებში საკუთარი სურვილით ჩართული მშობლების დათვლით; არ არიან ზედმეტად ფოკუსირებული ისეთ მოთხოვნებზე, როგორიცაა მშობლის ხელმოწერა მოსწავლის საშინაო დავალებაზე. მათ სჯერათ, რომ მოსწავლის წარმატება სკოლისა და ოჯახის საერთო ინტერესია, სწავლის პროცესში მშობელს პარტნიორად მიჩნევენ, შემდეგ კი ამ პარტნიორობის გაძლიერების კონკრეტულ გზებს განსაზღვრავენ. შემდეგ ნაწილში მშობელთა ჩართულობის სფეროში

არსებული პრობლემების გადაჭრის სამი გზა არის წარმოდგენილი: 1) კომუნიკაციის გაუმჯობესება, 2) მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ სკოლის პერსონალისა და ოჯახის ცნობიერების ამაღლება, და 3) პერსონალიზაცია.



კომუნიკაციის გაუმჯობესება

სკოლასა და ოჯახს შორის ორმხრივი, რეგულარული კომუნიკაცია ბავშვის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია. ეფექტური კომუნიკაციისთვის საჭიროა, რომ მასწავლებელი და მშობელი ერთმანეთს ინფორმაციას უზიარებდნენ. უმეტეს სკოლებში ინფორმაციის გასაცემად ეფექტური საშუალებებია შემუშავებული, მაგალითად, საინფორმაციო ბიულეტენები, ვებ-გვერდები და სკოლის საინფორმაციო დაფები, სადაც შესაბამისი მასალები/გზავნილები განთავსდება. ხშირად სკოლებში შემუშავებულია ანალოგიური მექანიზმები მშობლების აქტიური უკუკავშირის უზრუნველსაყოფადაც.

ზოგიერთი სკოლა ცდილობს, მშობელთა ჩართულობა მშობლის თვალთ განიხილოს. მაგალითად, შეიძლება მოაწყონ მშობელთა კრებები და სემინარები არა სკოლაში, არამედ სადმე მეზობლად, სკოლის ბევრი მოსწავლის საცხოვრებელი ადგილის სიახლოვეს. სკოლის გარეთ კრებების მოწყობა ხელს შეუწყობს მშობლებსა და სკოლას შორის დაძაბულობის მოხსნას.

პედაგოგებმა უნდა წახალისონ მშობლები, მიაწოდონ მათ ინფორმაცია, თუ რა ხდება ბავშვის ცხოვრებაში, ილაპარაკონ იმ მიმდინარე პროცესებზე, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბავშვის მიღწევებზე სკოლაში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ ზუსტი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მშობლებს მოსალოდნელი შედეგების შესახებ, სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, არსებული დისციპლინარული ნორმების, შეფასების ინსტრუმენტებისა და სკოლის მიზნების შესახებ. დირექტორმა და მასწავლებლებმა მშობლებთან პოზიტიური კომუნიკაციის რეგულარული გრაფიკი უნდა შეადგინონ. სკოლამ უნდა უზრუნველყოს, რომ

მშობლებთან პირველი კონტაქტი პოზიტიური იყოს და ამ დროს უნდა გაითვალისწინოს ენობრივი ბარიერი და კულტურული განსხვავებულობა.

როდესაც მშობლებისა და სკოლის კომუნიკაცია რეგულარული და ეფექტიანია, იზრდება მშობლების ჩართულობა, მათ მიერ სკოლის შეფასება მაღლდება და უყალიბდებათ სკოლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება.

ბუნებრივია, გამოყენებული სტრატეგიები მორგებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოებაზე. თუ ოჯახებს არ ექნებათ ხარისხიანი ინტერნეტი, თუ ვერ მიიღებენ ელ-ფოსტით გზავნილებს, თუ ქართული სატელეფონო შეტყობინება არ იქნება გასაგები აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე მოლაპარაკე მშობლებისთვის – კომუნიკაცია ვერ გაუმჯობესდება. სკოლებმა კომუნიკაციის ისეთი სტრატეგიები უნდა გამოიყენონ, რომლებშიც მნიშვნელოვანი ასპექტები მშობლებისთვის ხელმისაწვდომი გზით და გასაგებად იქნება გადმოცემული, ჩამოყალიბებული და აქტიური ჩართულობისაკენ უბიძგებს მათ.

კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად შემდეგი აქტივობების შეთავაზება არის შესაძლებელი:

დაკიდეთ მშობელთა ჩართულობის ბანერი ან დროშა

სკოლის გარეთ დაკიდეთ ბანერი ან დროშა. მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შეუძლიათ შექმნან მათი ლოგო, რომელიც იქნება მაჩვენებელი, რომ მათი სკოლა არის აქტიური ოჯახის ჩართულობის კუთხით.

შეხვედით და გულთბილად მიესალმეთ მშობლებს

ხელი შეუწყვეთ მშობლებისათვის თბილი და კონსტრუქციული გარემოს შექმნას სკოლაში; ამისთვის მნიშვნელოვანია სკოლის თანამშრომელთა შესაბამისი დამოკიდებულება მშობლებისადმი.

მშობლებთან სწორი ფორმით შეხვედრა და გულთბილი მისალმება მნიშვნელოვანია. მშობლებთან საუბრისას სკოლის წარმომადგენლები უნდა იყვნენ გახსნილნი და დადებითად განწყობილნი.

სკოლაში დამკვიდრებული მისალმებისა და დახვედრის კულტურა ხელს უწყობს მშობლებსა და სკოლას შორის ერთობის გაძლიერებას; ეხმარება მშობლებს იმის გაცნობიერებაში, რომ ისინი სასკოლო საზოგადოების სრულუფლებიანი და დაფასებული წევრები არიან.

სკოლაში არსებული მისალმებისა და დახვედრის კულტურით ექმნება მშობელს პირველი შთაბეჭდილება სკოლაზე. თუ ეს შთაბეჭდილება პოზიტიურია, თუ ისინი ლაღად იგრძნობენ თავს სასკოლო გარემოში, სკოლისადმი კეთილგანწყობილი და ნდობით აღსავსე დამოკიდებულება სამომავლოდაც გაჰყვებათ. ბუნებრივია, აქ იგულისხმება არა მხოლოდ სასიამოვნო ფიზიკური გარემო, ანუ არა მხოლოდ გარეგნული შთაბეჭდილება, არამედ ისიც, როგორ მასპინძლობს სასკოლო საზოგადოება მშობელს, როგორი სასკოლო ატმოსფერო ხვდება მას.

გამოკარით შენობის გეგმა ორიენტაციის გასაიოლებლად

სკოლის შესასვლელში სასურველია გამოკრული იყოს შენობის გეგმა შენობაში ორიენტაციის გასაიოლებლად – მასზე ნაჩვენები იქნება, თუ სად მდებარეობს ესა თუ ის კაბინეტი, რაც დაეხმარება მშობელს მარტივად მიაგნოს სასურველ კლასს.

სკოლის შესასვლელში დაკიდეთ განცხადებების დაფა

დაფაზე სკოლას შეუძლია განათავსოს ინფორმაცია სასკოლო ღონისძიებების, სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან შეხვედრის ზუსტი თარიღის/დროის შესახებ.

შეეგებეთ ახალ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს

სასურველია, სკოლაში დამკვიდრებული იყოს ახალი მოსწავლეებისა და მათი მშობლების მიღების წესი/რიტუალი. მაგალითად, სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაცია, კლასის დამრიგებლები, ძველი მოსწავლეების მშობლები საგანგებო შეხვედრას უწყობენ ახალგადმოსულ ბავშვებს და მათ მშობლებს, აცნობენ მათ სკოლას. შეიძლება, გადასცენ სკოლის გზამკვლევიც (თუ იგი არსებობს), რომელშიც აღწერილი იქნება მოსწავლეთა და მშობელთა უფლებები და მოვალეობები, სკოლის ტრადიციები, ყველა ის მნიშვნელოვანი აქტივობა, მათ შორის – მშობელთა მონაწილეობით, რომლებიც დაგეგმილი აქვს სკოლას მთელი წლის განმავლობაში და ა.შ.

წახალისეთ მოხალისე მშობლები

გამოხატეთ პატივისცემა და მადლიერება სკოლის ცხოვრებაში ჩართული მოხალისე მშობლებისადმი:

- აღნიშნეთ მშობლების წვლილი სკოლის წარმატებაში, გაუგზავნეთ მადლობის წერილები ან ხაზი გაუსვით მათ დამსახურებას სხვადასხვა შეხვედრაზე /ღონისძიებაზე;
- დაგეგმეთ ყოველწლიური შეხვედრები, ოფიციალური სადილები თუ პრეზენტაციები, სადაც განიხილავთ მშობელთა მიღწევებს;
- აქტიურ მოხალისე მშობელს/ებს გადაეცით პრიზი/ები ან „ყველაზე აქტიური მშობლის“ სერტიფიკატი/დიპლომი.

განსაზღვრეთ კომუნიკაციის ფორმა

კომუნიკაციის ფორმის განსაზღვრა სასურველია მოხდეს კითხვარით, რომელშიც მშობელი თავად მიუთითებს მისთვის სასურველ კომუნიკაციის საშუალებას (სატელეფონო ზარი, ელექტრონული ფოსტა, წერილი და ა.შ.). კითხვარის დასაწყისში მკაფიოდ უნდა იყოს ნაჩვენები მშობლის ჩართულობის მნიშვნელობა, მისი დადებითი მხარეები და ის, თუ რა ზეგავლენას ახდენს მშობლის ჩართულობა ბავშვის განათლებაზე.

დაურიგეთ მშობლებს კითხვარი, რომ გაიგოთ მათი ინტერესის სფერო

მოამზადეთ კითხვარი მშობლებისათვის, რომელიც დაგეხმარებათ დაადგინოთ: მშობლების ინტერესის სფერო, სასკოლო ღონისძიებებში მათი ჩართვის მზაობა. ასევე შესაძლებელია, ამ კითხვარით მიიღოთ ინფორმაცია ოჯახში არსებული პრობლემის შესახებ, რომლის გამო მშობელი ვერ/არ ერთვება სასკოლო ცხოვრებაში.

დაურიგეთ მშობლებს კითხვარი ბავშვისა და ოჯახის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიღების მიზნით

სწავლის დაწყებიდან ორი ან სამი კვირის შემდეგ მასწავლებელმა შეიძლება შინ გაუგზავნოს მშობელს კითხვარი, რომელიც მოიცავს ამგვარ შეკითხვებს: როგორი იყო თქვენი შვილი უფრო ადრეულ ასაკში? რა არის თქვენი შვილის ძლიერი და სუსტი მხარე? რას აკეთებს თქვენი შვილი თავისუფალ დროს? ეს ინფორმაცია დაეხმარება მასწავლებელს, გაიცნოს თითოეული ბავშვი, როგორც პიროვნება და მოსწავლე. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა იცოდეს, თუ როგორ ამოწმებენ/აკონტროლებენ მშობლები შვილებს და მათი სწავლის პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ მშობლები შესაძლოა ისევე მოუცლელები იყვნენ, როგორც მასწავლებლები, ისინი სავარაუდოდ დიდი მონდომებით დაუთმობენ დროს მათი შვილების შესახებ ინფორმაციის დაწერას. კითხვარის დახმარებით მშობელმა შესაძლებელია გაუზიაროს სკოლას ინფორმაცია ოჯახური ტრადიციებისა და ღირებულებების შესახებ, ასევე ოჯახში

არსებული პრობლემების შესახებ (ავადმყოფობა, ასაკოვანი მშობლები, ფინანსური პრობლემები და სხვა).

განცხადებების დაფა

აწარმოეთ განცხადებების დაფა. სასურველია, სკოლამ განცხადებების დაფა ჩამოკიდოს შენობის შემოსასვლელთან ახლოს, სადაც განთავსდება მშობლებისათვის საინტერესო ინფორმაცია. განცხადებების დაფა უფრო შთამბეჭდავია, როცა ის არის თვალშისაცემი, კარგად ორგანიზებული და განახლებადი. ხშირად მოხალისე მშობლები უზრუნველყოფენ განცხადებების დაფაზე განთავსებული ინფორმაციის რეგულარულად განახლებას. განცხადებები შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას მოახლოებული შეხვედრებისა და ღონისძიებების შესახებ; რჩევებს მოსწავლეების ხელშეწყობისათვის სწავლის პროცესში; მოსწავლეთა თხზულებებს, მათ ნამუშევრებს ხელოვნების სფეროებში.

დაგეგმეთ ღია კარის დღე / მშობლის დღე

მასწავლებელმა/დამრიგებელმა შესაძლებელია დანიშნოს ერთი დღე (კვირაში ან თვეში), რომლის განმავლობაში ყველა მშობელს შესაძლებლობა მიეცემა, დღის ნებისმიერ მონაკვეთში მივიდეს სკოლაში და გაესაუბროს დამრიგებელს, შეხვდეს საგნების მასწავლებლებს და მიიღოს დეტალური ინფორმაცია ბავშვის შესახებ.

შეაფასეთ მშობლებთან შეხვედრების ეფექტიანობა

სასურველია მარტივი შეფასების ფორმის მომზადება თითოეული შეხვედრის ან ღონისძიების შეფასებისათვის მშობლების მხრიდან.

გაავრცელეთ „დადებითი ინფორმაცია“ მშობლებისთვის

რეგულარულად აცნობეთ მშობლებს კარგი ამბები.

მასწავლებლებმა უნდა გამოიმუშაონ ჩვევა, რომ მოსწავლის შესაქებად ტელეფონით დაუკავშირდნენ მის მშობელს ან გაუზიარონ წერილი ელექტრონული ფოსტით. დიდი დრო ეთმობა მოსწავლეებს, რომლებიც არ აკეთებენ იმას, რასაც მასწავლებელი სთავაზობს. ის მოსწავლეები კი, რომლებიც კარგად ასრულებენ სამუშაოს, არ იღებენ შესაბამის ქებას. მშობლები რჩებიან კმაყოფილები და ხშირად – გაკვირვებულებიც, როცა მასწავლებელი ურეკავთ და მათ შვილს აქებს.

ასწავლეთ მშობლებს და მასწავლებლებს

ჩვენ ვიცით, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მშობლები თავს იკავებენ სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობისაგან, არის სკოლასთან დაკავშირებული გარკვეული დისკომფორტი, რომელიც ხშირად გამოწვეულია იმით, რომ მშობლებმა არ იციან, როგორ ჩაერთონ მის ცხოვრებაში. სკოლები, რომლებიც ზრუნავენ მშობელთა ჩართვაზე სასკოლო პროცესებში, აქტიურად ეხმარებიან მშობლებს ჩართულობის მეთოდების შესწავლაში. მოსწავლეთა სარგებელი დადასტურებულია: მშობელთა ჩართულობის ბოლოდროინდელი კვლევის თანახმად, მშობლისა და შვილის ერთად კითხვის აქტივობებმა მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო ბავშვის ენობრივი და კითხვითი უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მხრივ სკოლამდელი ასაკიდან საშუალო სკოლის ასაკამდე (Sheldon & Epstein, 2005); მეორე კვლევაში კი ხაზგასმულია მოსწავლეთა მოსწრების საგრძნობი გაუმჯობესება, როდესაც ისინი მშობლებთან ერთად აკეთებენ დავალებას (Van Voorhis, 2003).

ბევრ სკოლაში ატარებენ სემინარებსა და ახორციელებენ სხვა სასკოლო პროგრამებს მშობლების ჩართვის გასაძლიერებლად და მათთვის იმის გასაცნობად, თუ რა ხდება საკლასო ოთახებში. მაგალითად, სკოლას შეუძლია ყოველთვიურად მოაწყოს საოჯახო კითხვის საღამოები. დაწყებითი კლასის მშობლები მიდიან სკოლაში, შვილებთან ერთად კითხულობენ და პედაგოგებს ესაუბრებიან კითხვაზე და კითხვის სტრატეგიებზე. ერთი-ერთი სტრატეგიაა მასწავლებლების მიერ მშობლებისთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება შვილების სასკოლო პროგრესის – როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიურის – შესახებ. მშობლებისთვის კონკრეტული ინფორმაციის მიწოდება, თუ რას უნდა მიეცეს ყურადღება მოსწავლის მუშაობაში, კომუნიკაციის თვალსაზრისით წინ გადადგმული ნაბიჯია. სკოლებმა უნდა წახალისონ მშობლები და ბავშვები, რომ მათ რეგულარულად ისაუბრონ სკოლაში განხორციელებული აქტივობების შესახებ, ერთმანეთს გაუზიარონ იდეები და რეაქციები, კავშირი დაამყარონ ერთმანეთთან. აშშ კვლევებმა აჩვენა, რომ დავალებები, რომლებიც მოსწავლე-მშობლის ინტერაქციას მოითხოვს, კითხვითი უნარ-ჩვევების გაუმჯობესების წინაპირობაა (Sheldon & Epstein, 2005).

ბევრი მასწავლებელი ფიქრობს, რომ მშობელი მოუზნადებელია ეფექტიანი ჩართულობისთვის. მასწავლებელთა უზრუნველყოფა მშობელთა ჩართულობის ხელშემწყობი კონკრეტული ღონისძიებებითა და მეთოდებით ხელს შეუწყობს მშობლებთან ურთიერთობით გამოწვეული შფოთვის შემცირებას.

მეგობრული დამოკიდებულება სკოლასა და მშობელს შორის შედეგიანი ურთიერთობის დამყარების პირველი ნაბიჯია. მეგობრული ატმოსფეროს შესაქმნელად სკოლამ უნდა უზრუნველყოს მასწავლებელთა გადამზადება მშობლებთან კომუნიკაციის საკითხებში.

მშობელთა და სკოლის პერსონალის ცნობიერების ასამაღლებლად ერთმანეთთან პროდუქტიული თანამშრომლობის თემაზე შემოთავაზებულია შემდეგი აქტივობები:

შესთავაზეთ მასწავლებლებს ტრენინგები

მასწავლებლებს სისტემატურად უნდა უტარდებოდეთ ტრენინგები თემაზე, თუ როგორ უნდა შექმნან კეთილგანწყობილი გარემო, როგორ დაამყარონ სწორი კომუნიკაცია მშობელთან, როგორ გახდნენ მშობლებთან კომუნიკაციის დამყარების ინიციატორები და სხვა საკითხებზე, რომლის უზრუნველყოფაც მნიშვნელოვანია და მასწავლებელს ევალება.

ტრენინგის მასალები რეკომენდაციების სახით უნდა მოიცავდეს შესაძლებელი ღონისძიებების ნუსხასაც, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს მშობელთა ჩართულობის გაუმჯობესებას და მშობლების გააქტიურებას.

იყავით ინიციატორები მშობელთან კომუნიკაციაში

ზოგიერთი მშობელი დარწმუნებულია, რომ აქვს გარკვეული კვალიფიკაცია და განათლება, რაც მოსწავლესთან მუშაობაში გამოადგებოდა, თუმცა არ იცის, როგორ შეიძლება გამოიყენოს საკუთარი შესაძლებლობები.

ნუ დაელოდებით მშობლებისაგან დახმარების შემოთავაზებას. თავად სთხოვეთ მათ დახმარება მოსწავლესთან მუშაობაში.

შეადგინეთ მშობელთა საქმიანობის ჩამონათვალი და მათი კვალიფიკაციის აღწერა.

ჩაატარეთ მშობელთა გამოკითხვა ან შეხვედრა, სადაც გაარკვევთ, თუ რა სახის დახმარებას საჭიროებენ მშობლები მოსწავლის ხელშეწყობის მიზნით სასწავლო პროცესში ეფექტიანად

მიაწოდეთ მშობლებს ინფორმაცია

მიაწოდეთ მშობლებს დეტალური ინფორმაცია, როგორც სკოლაში უკვე განხორციელებული ღონისძიებების და სამუშაოების შესახებ, ასევე მომავალში დაგეგმილი აქტივობების თაობაზე.

მშობლებს ასევე მიაწოდეთ ინფორმაცია:

- წლიური სამოქმედო გეგმის შესახებ;
- სასწავლო პროგრამების შინაარსზე;
- შეფასების პროცედურების და კრიტერიუმების შესახებ;
- მოსწავლეთა მომსახურების პროგრამებზე;
- სკოლის მთავარი პრინციპების შესახებ;
- თუ როგორ შეიძლება ბავშვებს დაეხმარონ შინ მეცადინეობის დროს;
- საგნობრივი ტესტები მარტივი ნიმუშების სახით – თუ ეს შესაძლებელია.

მიაწოდეთ მშობლებს მასალები

სკოლამ (მასწავლებელმა) მშობელს უნდა მიაწოდოს მრავალფეროვანი ინფორმაციული სახის მასალა, რომელიც დაკავშირებული იქნება ბავშვის განვითარებასთან, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან. მნიშვნელოვანია, მშობლები ფლობდნენ ინფორმაციას სპეციალური განათლების, სოციალური მომსახურების სააგენტოების შესახებ. შესაძლებელია, სკოლამ მშობლებს გადასცეს სახელმძღვანელოები, რეკომენდაციები წერილობითი ფორმით, ვიდეო-აუდიო მასალა, შესაბამისი ვებ-გვერდის მისამართები და ა.შ.

პერსონალიზაცია

მშობელთა ჩართულობის წარმატებული პროგრამები, როგორც წესი, იქმნება სკოლის ან მისი საზოგადოების კონკრეტული საჭიროების გათვალისწინებით და ორივე მოქნილია/მორგებულია ამ საჭიროების დაკმაყოფილებაზე. სტრატეგია, რომელიც ერთ სკოლაში წარმატებულია, შეიძლება არ გამოდგეს მეორე სკოლაში. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, სხვადასხვა სკოლებში მშობელთა ჩართულობის განსხვავებული პროგრამები იყოს წარმოდგენილი. მაგალითად, ერთმა სკოლამ შეიძლება დაწეროს პროგრამა „მენტორი მშობელი“, რომელშიც მშობლები უკავშირდებიან სხვა მოსწავლეების ოჯახებს და უყვებიან სკოლის საქმიანობის შესახებ; სხვა სკოლამ შეიძლება დაიწყოს პროგრამა, რომელიც მოხალისე მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, ქულები დააგროვონ სხვადასხვა ჯილდოების მოსაპოვებლად, (მაგ: ყველაზე აქტიური მშობლის სერტიფიკატი და ა.შ.). ორივე პროგრამას გააჩნია მშობელთა ჩართულობის მნიშვნელოვნად ამაღლების პოტენციალი.

მშობლისა და სკოლის წარმატებული პარტნიორობა არ წარმოადგენს ავტონომიურ, დამატებით პროგრამებს. პირიქით, ისინი კარგად არიან ინტეგრირებული სკოლის საერთო მისიასთან. როგორც წესი, ხარისხის პროგრამები შემუშავებულია მშობლებთან თანამშრომლობით და მათ საჭიროებებს და ინტერესებს გამოხატავს. მოიცავს მცირეწლოვანი ბავშვების მშობლისთვის შვილზე ზრუნვის შეთავაზებას, თარჯიმნებით უზრუნველყოფას და მრავალი შესაძლებლობის გაცნობას, რათა გამოხატოს მშობლის წვლილისადმი სკოლის ცხოველი ინტერესი.

შექმენით ვებ-გვერდი

სასურველია მასწავლებლების/დამრიგებლების დახმარებით შეიქმნას მოსწავლეების ბლოგები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მშობლისთვის;

თუ სკოლას არ გააჩნია სახსრები ვებ-გვერდის შესაქმნელად, სკოლას ან ინდივიდუალურად მასწავლებლებს შეუძლიათ სოციალურ ქსელში, ვთქვით, Facebook-ში შექმნან გვერდი. სკოლის გვერდზე განთავსებული მასალა იქნება იმ მასალების მსგავსი, რაც თავსდება ვებ-გვერდზე.

გაუგზავნეთ მშობელს წერილი ან E-mail-ი (წერილი ელექტრონული ფორმით)

არიან მშობლები, ვისაც არ აქვთ შესაძლებლობა, ხშირად მიაკითხოთ სკოლას.

თუ მშობელი სკოლაში ვერ მოდის, მასწავლებელმა უნდა მისწეროს მას საინფორმაციო წერილი, რომელიც მშობელს მიაწოდებს ინფორმაციას ინდივიდუალურად მისი შვილის შესახებ.

მაგალითად: ინფორმაცია შეიძლება ეხებოდეს ბავშვის ინდივიდუალურ პროგრესს, რას მიაღწია, რას – ვერა და რატომ, რა შეიძლება გააკეთონ მასწავლებელმა და მშობელმა ურთიერთთანამშრომლობით მოსწავლის გასაძლიერებლად.

მშობელს შეიძლება წერილის სახით გაეგზავნოს რეკომენდაციები, თუ რა უნდა გაკეთდეს მოსწავლის ამა თუ იმ ნიჭის გამოსავლენად.

მასწავლებლებმა ასევე უნდა გამოიმუშაონ ჩვევა, გაუგზავნონ მშობელს მოსწავლის საქებარი წერილი. დიდი დრო ეთმობა მოსწავლეებს, რომლებიც გამოირჩევიან დაბალი აკადემიური მიღწევებით ან ცუდი ქცევით და არ ემორჩილებიან მასწავლებლის მითითებებს. ის მოსწავლეები კი, რომლებიც კარგად სწავლობენ ან კარგად იქცევიან, არ იღებენ დამსახურებულ ქებას. მშობლების ბედნიერებას საზღვარი არ აქვს, როცა მასწავლებელი უგზავნის მათ ინფორმაციას შვილის წარმატების შესახებ.

ესაუბრეთ ტელეფონით

თუ მშობელი ვერ მოდის მასწავლებელთან, აუცილებელია, კომუნიკაცია ტელეფონით მაინც შედგეს. მშობელს უნდა შევატყობინოთ არა მხოლოდ ის, რომ ბავშვი დამატებით დახმარებას საჭიროებს, არამედ მისი წარმატების ან გამოვლენილი უნარის თაობაზეც.

რეგულარულად აცნობეთ მშობლებს კარგი ამბები. მასწავლებლებმა უნდა გამოიმუშაონ ჩვევა, დაუკავშირდნენ მშობელს მოსწავლის შესაქებად. მოსწავლეები, რომლებიც კარგად ასრულებენ სამუშაოს, ხშირად არ იღებენ შესაბამის ქებას. მშობლები რჩებიან კმაყოფილები და ხშირად – გაკვირვებულებიც, როცა მასწავლებელი რეკავს და ამბობს: „ძალიან სასიამოვნოა, რომ ნიკა ჩემს კლასში სწავლობს“.

გაუგზავნეთ მესიჯი

საქართველოში უმეტეს ოჯახში ერთი მობილური ტელეფონი მაინც მოიპოვება და, ამდენად, მობილური ტელეფონი ინფორმაციის გავრცელების მეტად ქმედითი საშუალებაა. ინოვაციურია ინფორმაციის მობილური ტელეფონის საშუალებით გავრცელება. აუცილებელია, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით გავაგებინოთ მშობლებს, თუ რა არის მათი ბავშვისთვის საჭირო.

გამოიყენეთ სოციალური ქსელი

სასურველია, მშობლებთან შეხვედრაზე ან სოციალურ ქსელში განიხილებოდეს სხვადასხვა გადაწყვეტილებები (წესები, რეგულაციები, შეფასების სისტემა, დავალების ტიპები/სირთულე/მოცულობა, დავალების შესრულების პროცესში ბავშვის დახმარების მეთოდი); ასევე, სოციალური ქსელის დახმარებით შესაძლებელია მშობლების/ბავშვების საჭიროებების კვლევა/გამოკითხვა.

თუ სკოლას არ გააჩნია სახსრები ვებ-გვერდის შესაქმნელად, სკოლას ან ინდივიდუალურად მასწავლებლებს შეუძლიათ, შექმნან გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook). ამ გვერდზე გამოქვეყნდება იგივე მასალა, რაც ჩვეულებრივ სკოლის ვებ-გვერდზე თავსდება.

შეხვედრით მშობლებს

შეხვედრები უნდა ეხებოდეს სხვადასხვა თემას და უნდა წარიმართოს დიალოგის ფორმით. შეხვედრა უნდა იყოს კონსტრუქციული და ემსახურებოდეს ინფორმაციის და იდეების ურთიერთგაზიარებას. არ უნდა ჰქონდეს ლექციის სახე. ასევე გასათვალისწინებელია შეხვედრების ადგილი და მონაწილეთა კომფორტული განთავსება.

სასურველია, შეხვედრები იმართებოდეს სხვადასხვა დროს, რომ ყველა მშობელს მიეცეს დასწრების საშუალება.

მასწავლებელმა/დამრიგებელმა უნდა მოუწყოს მშობლებს შეხვედრა დირექტორთან, რომელიც მათ გააცნობს მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებებს/პროექტებს, სადაც უმთავრესი მშობლების ჩართულობა იქნება.

დააარსეთ მშობელთა კლუბები – მოუსმინეთ მშობლებს!

სასურველია, შეიქმნას მშობელთა კლუბი. უმჯობესია, კლუბები დაკომპლექტდეს სხვადასხვა სქესის, ასაკის, პროფესიისა თუ ეთნიკური წარმოშობის მქონე მშობლებისგან. მნიშვნელოვანია სპეციალური საჭიროების მქონე მშობლების ჩართვა (მათი არსებობის შემთხვევაში) და მათი აზრის გათვალისწინება.

მშობელთა კლუბი შეიკრიბება დადგენილი პერიოდულობით, გაიცვლება აზრები სკოლის შესახებ, არსებული პრობლემების შესახებ, შემუშავდება საინტერესო პროექტები, დაიგეგმება ღონისძიებები. შესაძლებელია, კლუბებში მოიწვიონ ფსიქოლოგები, შეხვდნენ ექსპერტებს საკონსულტაციოდ და ა.შ.

მშობლებს შეუძლიათ, მრავალი მიმართულებით ჩაერთონ კონსულტაციის გაწევისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში:

- კლუბის წევრებს შეუძლიათ, რეგულარულად დაესწრონ შეხვედრებს, გაუზიარონ საკუთარი შეხედულებები სკოლის წარმომადგენლებს სკოლასთან დაკავშირებულ საკითხებზე და მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- მშობელთა კლუბების წევრ მშობლებს შეუძლიათ, ინფორმაცია მიაწოდონ სკოლის დანარჩენ მშობლებს კონკრეტულ საკითხებსა თუ კანონებზე, რომელიც გავლენას იქონიებს მათ შვილებზე.

მიაწოდეთ ინფორმაცია არაქართულენოვან მშობლებს

მნიშვნელოვანია საჭირო მასალების მომზადება არაქართულენოვანი მშობლებისათვის მათთვის გასაგებ ენაზე, რათა მათ ხელმისაწვდომი ფორმით მიიღონ ყველა ინფორმაცია, ყველა მშობლის თანაბრად.

აქტივობების ჩამონათვალი სკოლებისთვის

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტმა (G-PriEd) შეარჩია პროექტები/აქტივობები/ღონისძიებები, რომელთა განხორციელებას არ სჭირდება დიდი ფინანსური რესურსი და ადვილი ჩასატარებელია საქართველოს საჯარო სკოლებში.

მშობელთა მონაწილეობის სხვადასხვა ფორმებს განსხვავებული შედეგები და სარგებელი მოაქვს სკოლისთვის. გრძელვადიანი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროა, მშობელთა ჩართულობის პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები იყოს კარგად დაგეგმილი, მრავლისმომცველი და ყველა მოსწავლის მშობელზე გათვლილი.

G-PriEd-ის „მკითხველთა კლუბი“

G-PriEd-ი საპილოტე სკოლებს აწვდის დამატებით საკითხავ წიგნებს და საბავშვო გაზეთს „კითხვის დრო“.

გააცანით მშობლებს დამატებითი საკითხავი რესურსი და სთხოვეთ, ჩაერთოს შვილთან ერთად ამ წიგნების კითხვის პროცესში.

კლასის დამრიგებელმა უნდა ჩამოაყალიბოს „მკითხველთა კლუბი“, დანიშნოს კვირაში ერთი დღე და სასწავლო წლის განმავლობაში უზრუნველყოს „მკითხველთა კლუბის“ წევრების სისტემატიური შეხვედრები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მშობლები, ბავშვები და მასწავლებლები. კლუბში შექმნილ სახალისო ატმოსფეროში მშობლები შვილებთან ერთად წაიკითხავენ G-PriEd-ის წიგნებსა და გაზეთებს. სასურველია, მასწავლებლებმა საბავშვო გაზეთი „კითხვის დრო“ გაატანონ მოსწავლეებს შინ მშობლებთან ერთად წასაკითხად/დასამუშავებლად.

მნიშვნელოვანია კლუბში წაკითხული მასალის განხილვა როგორც კლასში მასწავლებელთან ერთად, ასევე შინ მშობელთან ერთად. სასურველია მშობელს მიეცეს რეკომენდაცია, თუ რა ტიპის კითხვები უნდა დაუსვას ბავშვს, როგორ დაეხმაროს წაკითხული მასალის კარგად გააზრებაში. მაგალითად, ურჩიეთ მშობელს ჰკითხოს ბავშვს: „სხვანაირად როგორ შეიძლება დასრულდეს ეს მოთხრობა?“ „რომელი პერსონაჟი უფრო მოგეწონა?“ „რა არ მოგეწონა?“ „რატომ გაიბუტა პატარა შუქნიშანი?“ და ა.შ.

G-PriEd-ის კითხვის კონკურსი

მნიშვნელოვანია ტარდებოდეს „მკითხველთა კლუბის“ შეხვედრების შემაჯამებელი აქტივობა, რაც გულისხმობს წელიწადში 1-2 ჯერ კითხვაში სახალისო კონკურსის ჩატარებას მშობლების აქტიური მონაწილეობით. კონკურსი დაეხმარება მასწავლებელს დაახლოვდეს მშობლებთან, გააქტიუროს ისინი და დაინახოს რამდენად კარგად აითვისეს ბავშვებმა წაკითხული მასალა. ასევე, მასწავლებელს მიეცემა შესაძლებლობა კონკურსის მსვლელობისას ასწავლოს მშობელს როგორ უნდა ჩაერთოს იგი სწორედ სწავლის პროცესში და როგორ უნდა შეუწყოს ხელი შვილის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

2015 წლის მაისში საპილოტე სკოლებში ჩატარებულმა კონკურსმა დაგვანახა, რომ მშობლები განსაკუთრებული აქტიურობით ერთვებიან მსგავს აქტივობაში და ითვალისწინებენ მასწავლებლების რეკომენდაციებს.

ვებ-გვერდზე განთავსებულია კითხვარები, რომელიც მომზადდა G-PriEd-ის მიერ პროექტის წიგნების/საბავშვო გაზეთის ტექსტებიდან ღონეების შესაბამისად.

კონკურსი შეიძლება ჩატარდეს დაწყებითი კლასის ყველა მოსწავლეს. მასწავლებლის სურვილის შესაბამისად, კონკურსი შესაძლებელია ჩატარდეს ერთ კლასში მოსწავლეთა პატარა

ჯგუფებს შორის ან პარალელურ კლასებს შორის. ბავშვები უნდა გადანაწილდნენ პატარ-პატარა ჯგუფებში მშობლებთან ერთად (4-5 მოსწავლე). ერთ-ერთი მშობელი დაინიშნება ჯგუფის ფასილიტატორად, რომელიც უხელმძღვანელებს კითხვარების შევსებისა და ბავშვებს შორის დისკუსიის პროცესს.

მშობლების მონაწილეობა ითვალისწინებს მოსწავლეთა დახმარებას კითხვარების შევსების პროცესში. თუ რომელიმე ბავშვი ვერ იხსენებს კონკრეტულ ფაქტს, მშობელი უნდა დაეხმაროს შვილს და სწორი მინიშნებებით მიიყვანოს სწორ პასუხამდე.

კონკურსის ერთ-ერთი მთავარი პირობაა, რომ მოსწავლეებმა შეძლებისდაგვარად განავრცონ პასუხი და ჩაწერონ დამატებითი ინფორმაცია კითხვარში მოცემულ კითხვასთან დაკავშირებით.

კონკურსის პირობებისა და პროცესის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად და საპილოტე პერიოდში ჩატარებული კონკურსების ვიდეო მასალების გასაცნობად იხილეთ ვებ-გვერდზე განთავსებული მასალა „კითხვის კონკურსი“.

იკითხეთ ყოველდღე

- აირჩიეთ კვირა, როცა კითხვას დაეთმობა განსაკუთრებული ყურადღება;
- გამოყავით დღეში 15 წუთი კვირის განმავლობაში სასკოლო საზოგადოებისათვის: მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისათვის, დირექტორისთვის, ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის – საკითხავად. 15 წუთის განმავლობაში მხოლოდ კითხულობენ, სხვას არაფერს აკეთებენ, სკოლაში არაფერი ხდება კითხვის გარდა;
- შეატყობინეთ მშობლებს, რომ ამ კვირის განმავლობაში, ყოველდღე 15 წუთის მანძილზე მისი შვილი წიგნს იკითხავს. დაარწმუნეთ, რომ ამ დროს მშობლებმაც იკითხოვნ. დღის ბოლოს მათ შეუძლიათ, განიხილონ შვილებთან ერთად, თუ რა წაიკითხა ორივემ იმ დღეს.

კითხვის სასკოლო კულტურის დემონსტრირება

როცა მნახველი შემოდის სკოლაში, გარემო უნდა მეტყველებდეს კითხვის სიყვარულზე. მაგალითად, კედელზე უნდა იყოს გამოკრული მოსწავლეთა მიერ მომზადებული წიგნების მიმოხილვები, მხატვრული ტექსტების საილუსტრაციო მასალები, ქართველ მწერალთა ციტატები. როცა მშობლები მოვლენ სკოლაში, ისინი დაინახავენ, თუ როგორ ამახვილებს ყურადღებას კითხვაზე მათი შვილის სკოლა.

პროექტი „ოჯახური კითხვის დღე“

ერთ საღამოს მოიწვიეთ მშობლები სკოლაში არსებული საკითხავი მასალის გასაცნობად. ხაზი გაუსვით ყოველდღიურად შვილებთან ერთად კითხვის მნიშვნელობას. მათ შეუძლიათ, იკითხოვნ ქუჩაში აბრეშზე განთავსებული წარწერები, გაზეთები, წიგნები, პროდუქტზე დაკრული ეტიკეტებიც კი.

მშობლები დაინახავენ, რომ ერთად კითხვა მნიშვნელოვანია მათი შვილების კითხვის უნარების გაუმჯობესებისთვის და მიხვდებიან, რამდენად დიდია მათი როლი იმაში, რომ შვილმა შეძლოს გამართული კითხვა.

პროექტი „მათემატიკის ოჯახური დღე“

მათემატიკის ოჯახური დღე ძალიან სახალისოა როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მშობლებისთვის. ეს აქტივობა აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას, გამოამჟღავნონ სკოლაში მიღებული ცოდნა და მათემატიკური უნარები. მშობლებს კი ეძლევათ შესაძლებლობა, ნახონ, თუ რა ისწავლეს მათმა შვილებმა მათემატიკაში და რა უნარებს ფლობენ.

მაგალითად: სათამაშო გარემოში მშობელი იღებს ინფორმაციას ბავშვისაგან, რას და როგორ

სწავლობენ. შესაძლებელია G-PriEd-ის აქტივობებზე, სასწავლო მასალებზე საუბარი.

„თამაშის სადამო“

ამოარჩიეთ კომპიუტერული, სამაგიდო ან ინტელექტუალური თამაშები (ჭადრაკი, შაში, სიტყვების გამოცნობა, მწერალთა გამონათქვამების გამოცნობა, ა.შ.), რომელიც ხელს უწყობს ამა თუ იმ უნარის განვითარებას. მოიწვიეთ მშობლები და შესთავაზეთ, ბავშვებთან ერთად ჩაერთონ თამაშის პროცესში. მოაწყვეთ შეჯიბრი კატეგორიების მიხედვით, გამოავლინეთ და დააჯილდოვეთ გამარჯვებულები. შესაძლებელია, გაცეთ სერტიფიკატი/დიპლომი კატეგორიების მიხედვით.

პროექტი „მოხალისე მშობელი“ (წელიწადში 2-3 საათი)

შესთავაზეთ მშობლებს, მშობელთა ჩართულობის პროგრამის ფარგლებში ჩაატაროს ქართულის ან მათემატიკის გაკვეთილი. მსურველი მშობლების გამოჩენის შემთხვევაში, ურჩიეთ გაკვეთილის ჩატარება G-PriEd-ის პროგრამით გათვალისწინებული სავარჯიშოების გამოყენებით, რომლებიც არ მოითხოვს კითხვის ან მათემატიკის სწავლებისათვის სპეციალურ კომპეტენციებს.

მშობლის მიერ ჩატარებული გაკვეთილები განსაკუთრებით სასარგებლო იქნება იმ მოსწავლეებისათვის, რომლებსაც შედარებით დაბალი აკადემიური მოსწრება აქვთ. ამ შემთხვევაში სასურველი იქნება ფსიქოლოგებმა/სპეციალისტებმა მისცენ რეკომენდაცია ამ მოსწავლეების მშობლებს პროგრამაში მათი ჩართვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

პროექტი " მოთხრობის საათი“

ყველა ერს ჰყავს უზუცესები, ვისაც უყვარს წარსული დღეების ისტორიების თხრობა. მოიწვიეთ ერთ-ერთი მათგანი სკოლაში, რათა მან მოსწავლეებს უამბოს მისი განვლილი სასკოლო ცხოვრების და თავგადასავლების შესახებ.

პროექტი " ვინ ვარ მე“

სთხოვეთ კლასის დამრიგებლებს სასწავლო წლის დასაწყისში გააცნოს მშობლებს პროექტი, რომელიც გულისხმობს წლის განმავლობაში მოხალისე მშობლის მიერ მოსწავლეებისათვის საინფორმაციო შეხვედრის ჩატარებას, რომლის დროსაც ის ბავშვებს გააცნობს მის პროფესიას და დაეხმარება ბავშვებს გაიგონ უფრო მეტი ერთი კონკრეტული პროფესიის შესახებ.

პროექტის ფარგლებში ასევე შესაძლებელია მშობლების მიერ გაკეთდეს დასურათებული პრეზენტაციები, რომლის დახმარებით ისინი გააცნობენ ბავშვებს თავიანთ ცხოვრებას პატარაობიდან.

სასურველია დამრიგებელმა მშობლებთან ერთად შეადგინოს გრაფიკი, რომელიც დაეხმარება მშობლებს წინასწარ დაგეგმონ მათი მონაწილეობა პროექტში. წინასწარ შედგენილი გეგმა მშობლებს ხელს შეუწყობს ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში დაკავებულობის მიუხედავად.

პროექტი „ლექსი ჩემს ჯიბეში“ (საერთაშორისო დღე)

სკოლებს შეუძლიათ, გამოყონ ერთი დღე აქტივობისათვის – „ლექსი ჩემს ჯიბეში“, როცა თითოეულ მოსწავლეს სთხოვენ საყვარელი ლექსის გადაწერას (ან ახლის დაწერას!). ამ ლექსს მოსწავლე ინახავს ჯიბეში მთელი დღის განმავლობაში.

ამ ღონისძიებაში მშობლებსაც შეუძლიათ ჩართვა. შესაძლებელია, მათ თან მოიტანონ საყვარელი ლექსები, რომლებსაც გაუზიარებენ შვილებს სკოლიდან წამყვანის დროს.

პროექტი „როგორ გამოიყურება მილიონი?“

სასწავლო წლის დაწყებისთანავე მასწავლებლები იწყებენ საუბარს იმის შესახებ, თუ „როგორ გამოიყურება მილიონი“. შემდეგ მოსწავლეებს სთხოვენ, რომ მათ დაიწყონ „მილიონი“ ნივთის შეგროვება. ეს შეიძლება იყოს კბილის საჩიჩქნები, ასანთის ღერები ან, უმჯობესია – პატარა კენჭები. ნივთები დაითვლება ყოველდღიურად და ჩაიდება ჭიქაში ან პლასტიკურ ქილაში, რომელიც განთავსდება დერეფანში.

სკოლაში ყველა დაინახავს, როგორ მიიწევს წინ 1,000,000-ის დაგროვების საქმე. ქილები შეიძლება დაილუქოს 1,000, 5,000, ან 10,000 ნივთის დაგროვების შემდეგ (ქილის ზომის გათვალისწინებით). ღონისძიება შეიძლება ჩატარდეს სხვა კლასებშიც, მშობლებსა და საზოგადოების სხვა წევრებს შორის, რათა ხალხმა გაიგოს პროექტის შესახებ და მოინდომოს საკუთარი წვლილის შეტანა მილიონის დათვლაში. მილიონი ნივთის დათვლას დასჭირდება ერთი წელი ან მეტი, მაგრამ ღონისძიების დასრულებისას ყველა დაინტერესებული იქნება, ნახოს, როგორ გამოიყურება მილიონი.

პროექტი „გამოფინეთ მოსწავლის ნაშრომი“

სკოლამ უნდა ანახოს მშობელს, „რას ქმნის“ მისი შვილი, ამიტომ სკოლამ უნდა გამოფინოს არამარტო ხელოვნების განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული მოსწავლეების, სავარაუდოდ მომავალი ხელოვანის, მხატვრის ნაშრომები, არამედ ყველა ბავშვის მიერ შესრულებული ნამუშევარი.

გამოფენა

უნდა მოეწყოს გამოფენები, სადაც სკოლა გამოფენს მოსწავლეების მიერ დამზადებულ ექსპონატებს (ნახატი, ხელნაკეთი ნივთი და ა.შ.). გამოფენა შესაძლებელია მოეწყოს კლასების, საფეხურების მიხედვით. ღონისძიებაზე უნდა მოიწვიოთ ყველა მშობელი და აჩვენოთ შვილების ნამუშევრები.

ღია/საჩვენებელი გაკვეთილი მშობლებისათვის

მაგალითად: G-PriEd-ი ნერგავს მათემატიკისა და კითხვის სწავლების ახალ, ინოვაციურ მეთოდოლოგიას, რომელშიც მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან და მის მიმართ დიდ ინტერესს გამოხატავენ. მასწავლებლების მონაცემებით, პროექტის აქტივობების დახმარებით მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება გაუმჯობესდა და შესამჩნევად გაააქტიურა ბავშვები.

შესაძლებელია, მასწავლებელმა ჩაატაროს ღია გაკვეთილი, მოიწვიოს მშობლები გააცნოს მათ ინოვაციური მიდგომები და ახალი მეთოდოლოგია, რაც მშობელს დაეხმარება გააცნობიეროს, როგორ შეძლებს თავად, უკეთ დაეხმაროს შვილს საშინაო დავალების შესრულების პროცესში. მარტივად გაიმეოროს ან შეასრულოს G-PriEd-ის რეკომენდაცია.

საჩვენებელი ვიდეოგაკვეთილი მშობლებისათვის

კარგი იქნება, თუ გახდება შესაძლებელი სამოდელო გაკვეთილის გადაღება და მშობლებისთვის/მოსწავლეებისთვის მისი ჩვენება. პირველ რიგში, მოსწავლეებს მიეცემათ შესაძლებლობა, დამატებით გაერთონ. ჩანაწერი მოსწავლეს დაეხმარება, გვერდიდან დაინახოს საკუთარი თავი, მშობელს კი უჩვენებს, როგორია მისი შვილი გაკვეთილზე. თანაც, შესაძლებელია, ფილმის განხილვა მოეწყოს სახალისო გარემოში.

თუ მშობლები და მოსწავლეები თანახმა იქნებიან, შესაძლებელია ვიდეო გაკვეთილის განთავსება სოციალურ ქსელში ან youtube-ზე.

პროექტი „სურათი მშობლებთან ერთად“

შესთავაზეთ მშობლებს, ჩაერთონ ამ სახალისო პროექტში და შვილებთან ერთად გადაიღონ სურათები.

მშობლები თავიდანვე უნდა გააფრთხილოთ, რომ ფოტომასალა განკუთვნილია საზოგადოებისთვის საჩვენებლად.

მშობლებმა და მოსწავლეებმა უნდა ამოარჩიონ ერთი ან რამდენიმე აქტივობა მშობლებისათვის განკუთვნილი საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) აქტივობების ბარათებიდან და განასახიერონ იგივე სიტუაცია/ები. (G-PriEd-ის ვებ-გვერდზე საპილოტე სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მშობლებისათვის განთავსებულია პროექტის მიერ მომზადებული აქტივობების ბარათები კითხვისა და მათემატიკაში, მოსწავლეთა შედეგების გუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით).

უნდა ვურჩიოთ მშობლებს, რომ სურათები გადაღებული იყოს განსხვავებულ სიტუაციებში (შინ, გარეთ, მაღაზიაში და ა.შ.). სკოლა ამოარჩევს საუკეთესო სურათებს და გამოიყენებს მათ მშობელთა ჩართულობის ამსახველი სლაიდშოუს დამზადებისათვის, რომელიც ფილმის სახით განთავსდება სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში ან youtube-ზე.

შესაძლებელია, ჩატარდეს პრეზენტაცია და მოეწყოს საუკეთესო სლაიდების ჩვენება სკოლის/კლასის მოსწავლეებისა და მშობლებისათვის.

პროექტი „ოჯახური კინოკლუბი“

მასწავლებელს შეუძლია, 2-3 თვეში ერთხელ მშობლებისა და მოსწავლეებისათვის მოაწყოს შესაფერისი ფილმის ჩვენება და შემდგომ მისი განხილვა.

ცხოვრების დღე მშობლებთან ერთად

სასურველია, კვირის რომელიმე დღეს მოეწყოს ღონისძიება/შეჯიბრი, რომლის თემაც მშობელთა და მოსწავლეთა მიერ ნამცხვრების გამოცხობა იქნება. ბავშვები მშობლებთან ერთად მოამზადებენ ტკბილეულს და შესთავაზებენ სტუმრებს.

კულტურული ღონისძიებები (კონცერტები / საზეიმო ნომრები / სპექტაკლები / წარმოდგენები / სკეტჩები) მშობლების მონაწილეობით

სკოლამ/კლასმა უნდა გაუწიოს ორგანიზება კონცერტებს, სადაც მშობლებს მიეცემა შესაძლებლობა, გამოვიდნენ შვილებთან ერთად და შეასრულონ ესა თუ ის ნომერი.

წინასწარ უნდა განისაზღვროს, რომელი მშობელი რა უნარს ფლობს და რომელ კატეგორიაში სურს მიიღოს მონაწილეობა ბავშვთან ერთად (ცეკვა, სიმღერა, ლექსი, მხატვრული დადგმა, სკეტჩი და ა.შ.).

სპორტული შეჯიბრი (მხიარული სტარტები მშობლების მონაწილეობით)

მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის მნიშვნელოვანია სპორტული ღონისძიებების ხშირად ჩატარება. მსგავსი პროექტები უფრო წარმატებით განხორციელდება, თუ პროცესში მშობლებიც ჩაერთვებიან.

მხიარული სტარტების ორგანიზებისას მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ყველა მშობლის ჩართულობა (დედა, მამა, დეიდა, ბიძა). ასევე ყურადღება უნდა მიექცეს აქტივობების თანაბარ გადანაწილებას სპეციალური საჭიროების მქონე მშობლებზე, ერთმშობლიანი ოჯახის მოსწავლეებზე და მათ თანმხლებ პირებზე.

ექსკურსიები მშობელთა მონაწილეობით

ექსკურსიებზე უნდა დაიგეგმოს ერთობლივი თამაშები, როგორც სპორტული, ასევე ინტელექტუალური. სასურველია, მშობლებმა მონაწილეობა მიიღონ როგორც თამაშების მოფიქრებაში, ასევე უშუალოდ პროცესში. მსგავსი ღონისძიება ხელს უწყობს მასწავლებლების, მშობლებისა და ბავშვების დაახლოებას.

პროექტი „მშობლის დღიური“

წლის განმავლობაში გადაიღეთ სურათები ან ვიდეო მშობელთა ჩართულობის პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებებისა და აქტივობების მსვლელობის დროს. მოამზადეთ ცალკეულ ან ერთიან ფორმატში სლაიდშოუ და მოაწყვეთ პრეზენტაცია არაფორმალურ, კომფორტულ გარემოში.

ეს ღონისძიება შეუქმნის სახალისო განწყობას მშობლებს, პროგრამის აქტიურ მონაწილეებს განვლილ წელს შეახსენებს და თანაც მოტივაციას გაუჩენს სხვა მშობლებს, გააქტიურდნენ და ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში.

დასკვნა

მშობლების მხრიდან დიდი სურვილი და მონდომებაა საჭირო, სკოლებმა კი მათთან უნდა ითანამშრომლონ, რათა სკოლას და ოჯახს ერთნაირი მოლოდინები ჰქონდეთ და სწავლების პროცესს ხელი შეუწყონ.

კვლევამ აჩვენა, რომ სკოლებმა, სადაც მშობელთა ჩართულობის ეფექტური პროგრამები არსებობს, მიიღეს მრავალი პოზიტიური შედეგი, როგორიცაა:

- ✓ მოსწრების გაუმჯობესება;
- ✓ მაღალი დასწრება;
- ✓ მოსწავლეთა კარგი ყოფაქცევა;
- ✓ მშობლების ნდობის ამაღლება სკოლისა და სწავლებისადმი.

მოსწავლეებს ეხმარებიან და მოტივაციას აძლევენ, ისწავლონ ისეთ გარემოში, სადაც მშობლებს:

- ✓ მეგობრულად იღებენ, პატივს სცემენ და აფასებენ;
- ✓ პარტნიორებად მიიჩნევენ შვილების სწავლისა და განვითარების საქმეში;
- ✓ მრავალი შესაძლებლობა აქვთ, ჩაერთონ სკოლის საქმიანობაში;
- ✓ სკოლის პერსონალთან აქვთ მუდმივი კომუნიკაცია;
- ✓ სკოლა აწვდის სასარგებლო ინფორმაციას, რაც ხელს უწყობს მათ ჩართულობას.



მშობლები და მასწავლებლები უნდა იყვნენ პარტნიორები ბავშვის სწავლისა და განვითარების საქმეში

მშობელთა ეფექტიანი ჩართულობის პროგრამა, რომელსაც სკოლა ახორციელებს, უნდა აღიარებდეს სწავლებაში მშობლის როლის მნიშვნელობას და მათი მოსაზრების გამოხატვას მრავალი საშუალებით უზრუნველყოფდეს. ამ პროგრამის განხორციელების ხელშესაწყობად G-PriEd-მა მოამზადა რესურსები, რომელთა გამოყენება სკოლებს შეუძლია მშობელთა ჩართულობის პროგრამის გასაძლიერებლად. თითოეული რესურსი შეიძლება სკოლის მოთხოვნების შესაბამისად შეიცვალოს.

რესურსები სკოლებისთვის

სკოლის აქტივობების ჩამონათვალი: იდეების პრაქტიკული განხორციელება

		✓
1.	ისეთი პოზიტიური სასწავლო კულტურის და მეგობრული კლიმატის დანერგვა და შენარჩუნება, სადაც მშობლის წვლილს მიესალმებიან, პატივს სცემენ და აფასებენ	
2.	იმ ბარიერების იდენტიფიცირება, რომლებიც მშობელთა ჩართულობას ზღუდავს	
3.	მშობლისა და სასკოლო საზოგადოების პარტნიორობის განხილვა და მისი გაფართოება მასში სკოლის და მშობელთა საზოგადოების მრავალფეროვნების ასახვის მიზნით	
4.	სწავლების მოლოდინების და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების განხილვა მოსწავლეებთან და მშობლებთან ერთად	
5.	იმ ენების იდენტიფიცირება, რომლებზეც მშობლები ლაპარაკობენ, და საჭიროების შემთხვევაში თარგმანით უზრუნველყოფა	
6.	მოსწავლეთა მოსწრების ამაღლებისა და სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების გზების შესახებ მშობლებისგან იდეების გაზიარების აქტიური მხარდაჭერა და წახალისება	
7.	მშობელთა განსხვავებული ჯგუფების ჩართვა	
8.	ისეთი აქტივობების ჩატარება, სადაც მამები მიიღებენ მონაწილეობას	
9.	სკოლის გარემოს მონიტორინგი (კვლევების და ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით) მშობელთა ჩართულობის ბარიერების ან იმ პრობლემების დასადგენად, რომლებიც უნდა გადაიჭრას უსაფრთხო, მეგობრული სასწავლო გარემოს გასაძლიერებლად და მხარდასაჭერად	
10.	ისეთი აქტივობების შეთავაზება, რომლებშიც მრავალი მშობელი მიიღებს მონაწილეობას	

პუნქტების ჩამონათვალი, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს მშობელთა ჩართულობის პროგრამაში

თქვენ, როგორც სკოლის დირექტორს, შეიძლება გასურდეთ ამ პუნქტების განხილვა, რომლებითაც სკოლებში მშობელთა ჩართულობა იზომება. ეს ინდიკატორები შეიძლება გამოგადგეთ თქვენი სკოლისთვის საკუთარი ინდიკატორების შემუშავებისას.

		√
1.	სკოლის საქმიანობაში სხვადასხვა სათემო ჯგუფების წევრი მშობლები მონაწილეობენ	
2.	სკოლის საქმიანობაში მონაწილე მშობლების რაოდენობა წლის განმავლობაში იზრდება	
3.	მასწავლებლები ქმნიან ინოვაციურ შესაძლებლობებს მშობლების ჩასართავად მათი შვილების სწავლის პროცესში როგორც შინ, ისე სკოლაში	
4.	ტარდება სკოლის ვებ-გვერდის მონიტორინგი, რათა დადგინდეს იმ მშობლების რაოდენობა, რომლებიც ვებ-გვერდზე შედიან	
5.	მშობლები იზიარებენ სკოლის ხედვას / მისიას	
6.	მშობლებს წვლილი შეაქვთ არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში სკოლის მიერ შემუშავებული კითხვარების შევსებით	
7.	სასკოლო კულტურა ფოკუსირებულია მოსწავლის სწავლაზე, მოსწრებაზე და კეთილდღეობაზე, დინამიურია და ინტერაქტიულია	
8.	მშობლის დიალოგი მასწავლებელთან ხშირია და ფოკუსირებულია მოსწავლის შედეგებზე	
9.	სკოლა კარგად იცნობს ოჯახის გარემოებებს და რეკომენდაციებს იძლევა, როგორ შეიძლება უკეთესად მუშაობა მათ შვილებთან შინ	
10.	სკოლა ინფორმაციას აწვდის მშობლებს სასკოლო ღონისძიებების და ბავშვის პროგრესის შესახებ	

ჩამონათვალი თქვენი სკოლის გარემოს შეფასებისთვის

		✓
1.	სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი თავს კომფორტულად და მისაღებად გრძნობს	
2.	სასწავლო გარემო ჯანსაღი, უსაფრთხო და მოწესრიგებულია	
3.	სკოლის ატმოსფერო პოზიტიური და მეგობრულია	
4.	მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის მორალი მაღალია	
5.	მოსწავლეები, პედაგოგები და მშობლები გრძნობენ, რომ სკოლაში სწავლისთვის ხელსაყრელი გარემოა	
6.	სკოლაში მრავალფეროვნებას აღიარებენ, მიესალმებიან და პატივს სცემენ	
7.	სკოლის მისია და ხედვა ხელს უწყობს მოსწავლის წარმატებას	
8.	ყველა მოსწავლის მიმართ მაღალი მოლოდინები არსებობს	
9.	მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში აიმაღლონ თვითშეფასება და გამოიმუშაონ საკუთარი თავისა და სხვების პატივისცემა	
10.	მოსწავლეთა ყოფაქცევასთან დაკავშირებული მოლოდინები მკაფიოდ არის განსაზღვრული და ინფორმაცია შესაბამისად არის გავრცელებული	
11.	სკოლის ხელმძღვანელობა აქტიურად უწყობს ხელს სასწავლო უნარებისა და მეთოდების გაუმჯობესების ინიციატივებს	
12.	კლასებში სწავლების ხარისხი უცვლელად მაღალია	
13.	პედაგოგები აღიარებენ და მხარდაჭერას იღებენ იმ წვლილისთვის, რომელიც მოსწავლეებისა და სკოლის პროგრამების განვითარების საქმეში შეაქვთ	
14.	გუნდური მუშაობის მნიშვნელობა აღიარებულია, პასუხისმგებლობები კი საერთოა	
15.	სკოლის საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობას მიესალმებიან და წახალისებენ	
16.	მშობლებს გულთბილად ხვდებიან სკოლაში და აღიქვამენ პარტნიორებად სასწავლო პროცესში	
17.	სკოლის ხელმძღვანელობა წახალისებს გონივრული რისკის გაწევას, ინდივიდუალურ ინიციატივას და ლიდერის თვისებების განვითარებას	
18.	შეცდომები სწავლის შესაძლებლობად განიხილება და გამოიყენება	
19.	მოსწავლეთა ცუდ ყოფაქცევაზე რეაქცია სამართლიანი და სიტუაციის შესაბამისია	
20.	პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა პოზიტიურია და ურთიერთპატივისცემაზეა დამყარებული	

ქვემოთ მოყვანილი კვლევა შეიძლება გამოიყენონ სკოლის ხელმძღვანელებმა იმისათვის, რომ უკეთ გაიგონ სკოლის საზოგადოება. იგი სასარგებლო იქნება როგორც ახალი, ასევე იმ დირექტორისთვის, რომელიც შეამჩნევს, რომ მისი სკოლის საზოგადოება მნიშვნელოვნად იცვლება.

მშობელთა ჩართულობის კვლევა

ჩვენს სკოლას სურს იცოდეს, როგორ დააკმაყოფილოს უკეთ ჩვენი მშობელთა კოლექტივის საჭიროებები და სურვილები მოსწავლის სწავლისა და კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. ამ კითხვარის შევსებით თქვენ ამ მიზნის მიღწევაში დაგვეხმარებით.

1. მე/ჩვენ გვყავს შვილები:

- ☐ 1-ელ კლასში
- ☐ მე-2 კლასში
- ☐ მე-3 კლასში
- ☐ მე-4 კლასში
- ☐ მე-5 კლასში

2. გთხოვთ, მონიშნოთ ყველა აქტივობა, რომელსაც ახორციელებთ.

მე/ჩვენ ამჟამად ვმონაწილეობთ სკოლაში:

- ☐ ჩემი შვილის კლასში/ბიბლიოთეკაში
- ☐ ვესწრები კლასის ექსკურსიებს/ლონისძიებებს
- ☐ ვეხმარები სკოლას ღონისძიებების მოწყობაში
- ☐ ვავარჯიშებ სკოლის გუნდს
- ☐ ვარ სკოლის კომიტეტის წევრი
- ☐ ვეხმარები სკოლას დაფინანსების მოზიდვაში
- ☐ სხვა, გთხოვთ, მიუთითოთ: _____
- ☐ არაფერში ვმონაწილეობ

3. გთხოვთ, მონიშნოთ ყველა შესაბამისი დებულება.

მე/ჩვენ არ ვართ ჩართული სკოლის საბჭოს მუშაობაში, იმიტომ რომ:

- ☐ დატვირთული ვართ ბავშვის/ების მოვლით
- ☐ გვიჭირს ქართული ენის გაგება
- ☐ არაკომფორტულად ვგრძნობ თავს სკოლის გარემოში
- ☐ ვერ ვგრძნობ გულთბილ დახვედრას სკოლაში
- ☐ კრებების ჩატარების დრო ემთხვევა ჩემს სამუშაო საათებს
- ☐ ჩართული ვარ სკოლის სხვა აქტივობებში, რომლებიც იმავე დროს ტარდება
- ☐ ამ მომენტში ჩართულობა არ მაინტერესებს.
- ☐ სხვა, გთხოვთ მიუთითოთ: _____

4. სკოლა–ოჯახის კომუნიკაცია

გთხოვთ, მიუთითოთ კომუნიკაციის ყველაზე ეფექტური მეთოდი შემდეგი შკალის გამოყენებით:

4 – ყველაზე ეფექტური 3 – ეფექტური 2 – ნაკლებად ეფექტური 1 – არაეფექტური

- ☐ თქვენი შვილის ხელით წერილის შინ მიღება
- ☐ წერილის შინ ფოსტით მიღება
- ☐ ელექტრონული ფოსტა
- ☐ სატელეფონო ზარი
- ☐ პირისპირ შეხვედრა
- ☐ სკოლის ვებ-გვერდი
- ☐ სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში
- ☐ ავტომატური შეტყობინებების სისტემა
- ☐ საჯარო აბრა
- ☐ სხვა, გთხოვთ მიუთითოთ: _____

5. გთხოვთ მიუთითოთ თქვენი ჩართულობის დონე შემდეგ აქტივობებში შემდეგი შკალის გამოყენებით:

4 – ყოველთვის 3 – ზოგჯერ 2 – იშვიათად 1 – არასოდეს

- ☐ ვმონაწილეობ სკოლის საბჭოს კრებებში
- ☐ ვმონაწილეობ საკლასო აქტივობებში
- ☐ წიგნს ვუკითხავ შვილს
- ☐ განვიხილავ სასკოლო დღეს ჩემს შვილთან ერთად
- ☐ თვალყურს ვადევნებ შვილს გაკვეთილების მომზადებისას
- ☐ ვეთამაშები შვილს
- ☐ ტელევიზორში სასწავლო პროგრამებს ვუყურებ ჩემს შვილთან ერთად.
- ☐ ინტერნეტს ვიყენებ ჩემს შვილთან ერთად
- ☐ ბიბლიოთეკაში მიმყავს შვილი
- ☐ სხვა მშობლებს ვესაუბრები სკოლისა და სწავლების შესახებ
- ☐ პედაგოგებს რეგულარულად ვესაუბრები
- ☐ პედაგოგებს მხოლოდ ჩემი შვილის მიღწევებზე ვესაუბრები
- ☐ ვესწრები მშობლის/პედაგოგის ინტერვიუებს
- ☐ ვესაუბრები დირექტორს
- ☐ ვკითხულობ ყველა სასკოლო შეტყობინებას
- ☐ სხვა, გთხოვთ მიუთითოთ: _____

6. დავინტერესდებოდი საინფორმაციო სესიებზე დასწრებით შემდეგ თემებზე:

- ☐ საშინაო დავალება
- ☐ წიგნიერება
- ☐ მათემატიკური აზროვნება
- ☐ კითხვა
- ☐ ყოფაქცევის გამოწვევები
- ☐ კომპიუტერის მოხმარება
- ☐ სხვა, გთხოვთ მიუთითოთ: _____

7. რომელი დრო იქნება საუკეთესო საინფორმაციო სესიებისთვის:

- ☐ 09:00
- ☐ 10:00.
- ☐ შუადღე
- ☐ 16:00.
- ☐ 18:00.
- ☐ სხვა, გთხოვთ მიუთითოთ: _____

მშობელთა კმაყოფილების კვლევა

ეს კვლევა შეიძლება იყოს გამოყენებული მშობლების მხრიდან სკოლაზე ზოგადი შთაბეჭდილების ჩამოყალიბებისათვის. ეს განსაკუთრებით სასარგებლო იქნება იმ დირექტორებისთვის, რომლებსაც სურთ სკოლაში სასწავლო გარემოს გაუმჯობესება.

გთხოვთ, მიუთითოთ, რომელ კლასში არის თქვენი ბავშვი:

- ☐ პირველ კლასში
- ☐ მე-2 კლასში
- ☐ მე-3 კლასში
- ☐ მე-4 კლასში
- ☐ მე-5 კლასში
- ☐ მე-6 კლასში

	კი	ნაწილობრივ	არა
1. ხართ თუ არა კმაყოფილი სკოლის მიზნებით? გთხოვთ, დააკონკრეტოთ:			
2. ხართ თუ არა კმაყოფილი სკოლის ფიზიკური მდგომარეობით? გთხოვთ, შესაბამისად უპასუხოთ თითოეულ პუნქტს:			
• სისუფთავე • უსაფრთხოება • რემონტი • სველი წერტილები • სხვა: _____			
3. ხართ თუ არა კმაყოფილი სკოლაში არსებული პირობებით და რესურსებით? გთხოვთ, შესაბამისად უპასუხოთ თითოეულ პუნქტს:			
• ბიბლიოთეკა • სპორტული დარბაზი (სპორტული ნაგებობები) • სცენა და შესაბამისი აღჭურვილობა • მუსიკის კლასი • სათამაშო მოედნები • საკლასო ოთახი • ფოიე ან ჰოლი • სხვა: _____			
4. თქვენი აზრით, არის თუ არა სკოლის შიგნით და სათამაშო მოედანზე სათანადო უსაფრთხოება, ზედამხედველობა და დისციპლინა? გთხოვთ, გააკეთოთ კომენტარი:			
5. ხართ თუ არა კმაყოფილი თქვენი ბავშვის საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი ხარისხით?			

6. ხართ თუ არა კმაყოფილი თქვენი ბავშვის წასაკითხი პროგრამის ზოგადი ხარისხით?			
7. ხართ თუ არა კმაყოფილი თქვენი ბავშვის მათემატიკის პროგრამის ზოგადი ხარისხით?			
8. ხართ თუ არა კმაყოფილი თქვენი ბავშვის სპორტული პროგრამისა და კლასგარეშე აქტივობის ზოგადი ხარისხით? გთხოვთ, შესაბამისად უპასუხოთ თითოეულ პუნქტს: • სკოლის სპორტული გუნდები • აქტივობა არდადეგების დროს • ხელოვნება • თეატრალური წარმოდგენები • მუსიკა • სხვა: _____	 _____ _____ _____ _____ _____ _____	 _____ _____ _____ _____ _____ _____	
9. იცით თუ არა, როგორ სწავლობს თქვენი შვილი სკოლაში?			
10. აქვს თუ არა თქვენს ბავშვს სკოლაში სიარულთან დაკავშირებული ამა თუ იმ სახის შფოთვა? (მათ შორის, სკოლაში ან სკოლიდან ფეხით სიარული, სკოლაში ან სკოლიდან ტრანსპორტით მგზავრობა, სკოლაში ყოფნა და სხვა). გთხოვთ, გააკეთოთ კომენტარი:			
11. ფიქრობთ თუ არა, რომ თქვენს შვილს აძლევენ აზრიან საშინაო დავალებებს?			
12. ფიქრობთ თუ არა, რომ თქვენს შვილს საშინაო დავალებებს სათანადო მოცულობით აძლევენ?			
13. ჩამოთვლილი აქტივობებიდან რომელს იყენებთ თქვენი შვილის დასახმარებლად საშინაო დავალების გაკეთებასა თუ შინ სწავლაში? გთხოვთ, შესაბამისად უპასუხოთ თითოეულ პუნქტს: • მასწავლებლებისადმი მხარდაჭერის უზრუნველყოფა • მასწავლებლების ინფორმირება საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებულ პრობლემებსა თუ სირთულეებზე • მშვიდი გარემოს შექმნა საშინაო დავალების შესასრულებლად • ძალისხმევის, მიღწევების და დადებითი დამოკიდულების წახალისება • საშინაო დავალების შემოწმება • ქება, ინტერესისა და მზრუნველობის გამოჩენა • ყოველდღიური კითხვის წახალისება (მაგ. გაზეთების, ჟურნალებისა და წიგნების) • სხვა: _____	 _____ _____ _____ _____ _____ _____ _____	 _____ _____ _____ _____ _____ _____ _____	
14. გაქვთ თუ არა საკმარისი ინფორმაცია სასკოლო აქტივობისა და მოხალისეობრივი შესაძლებლობების შესახებ?			
15. თქვენი აზრით, სკოლაში რომელი კონკრეტული სფეროები საჭიროებს გაუმჯობესებას? გთხოვთ, შესაბამისად უპასუხოთ თითოეულ პუნქტს და დაამატოთ ის პუნქტები, რომლებიც, თქვენი აზრით, გათვალისწინებული			

უნდა იყოს: • სასწავლო პროგრამის შესაბამისობა საკლასო საფეხურთან • ჯანმრთელობა და უსაფრთხოება • აკადემიური მოსწრების მაღალი დონე (წერა, კითხვა და ანგარიში) • დროული, შესაბამისი და მიმზიდველი შინაარსობრივი მასალები და აღჭურვილობა • მშობელთა გავლენა მასალების შერჩევაზე • კლასგარეშე აქტივობა (სპორტი, საარდადეგო აქტივობა და ფაკულტატიური პროგრამები) • სასკოლო, სამეცნიერო, ისტორიული და კომპიუტერული გამოფენები • მშობელთა და მოსწავლეთა კმაყოფილება სასკოლო პროგრამით • პროგრამის გაჯერება უფრო მაღალი მოსწრების ხელშეწყობის მიზნით • სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის დახმარების გაწევა • ყველა მოსწავლის მოზიდვა საზოგადოების პასუხისმგებელ წევრებად მათი ჩამოყალიბების პროცესში, აკადემური და სოციალური თვალსაზრისით • სხვა, გთხოვთ, მიუთითოთ: _____			
16. თქვენი აზრით, გაწვდით თუ არა სკოლა დროულ და სრულ ინფორმაციას ყველა ღონისძიებისა თუ აქტივობის შესახებ?			
17. ხართ თუ არა კმაყოფილი კლასში არსებული მოხალისეობრივი შესაძლებლობებით?			
18. ხართ თუ არა კმაყოფილი სკოლის დირექტორთან ურთიერთობით?			

მშობელთა ჩართულობის კვლევა – სახლი/სკოლა

ეს კვლევა შემუშავებულია, რათა დაეხმაროს სკოლის ლიდერებს სკოლასა და სახლში მშობელთა ჩართულობის დონის გასარკვევად. გთხოვთ, დაუთმოთ რამდენიმე წუთი ამ კითხვარის შევსებას და ხელი შეგვიწყოთ ჩვენი პარტნიორობისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებაში. ეს დაგვეხმარება, უზრუნველყოთ, რომ თქვენს ბავშვს ჰქონდეს სწავლის საუკეთესო გამოცდილება. თქვენი მონაწილეობა კვლევაში არის ნებაყოფლობითი. შედეგები აისახება მხოლოდ შემაჯამებელ ფორმაში; არც ერთი პირი არ იქნება იდენტიფიცირებული.

1. ჩემი ბავშვი სწავლობს:

- ☐ პირველ კლასში
- ☐ მე-2 კლასში
- ☐ მე-3 კლასში
- ☐ მე-4 კლასში
- ☐ მე-5 კლასში
- ☐ მე-6 კლასში

2. როგორ უნდა დაეხმაროთ თქვენს ბავშვს

სკოლებისთვის არის მნიშვნელოვანი ოჯახებისთვის ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც მათ ოჯახში ბავშვების წარმატებულ მოსწავლეებად ჩამოყალიბებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნაში დაეხმარება. კვლევის ამ ნაწილში ჩვენ გვაინტერესებს თუ რა ინფორმაცია სჭირდებათ მშობლებს, შვილების წარმატებულ მოსწავლეებად ჩამოყალიბებაში.

რომელ საკითხზე გსურთ უფრო მეტი ინფორმაციის მიღება, რათა უკეთ შეგეძლოთ თქვენი შვილის დახმარება სწავლისას?

	საერთოდ არ არის საინტერესო	ნაკლებად საინტერესოა	ნაწილობრივ საინტერესოა	ძალიან საინტერესოა	განსაკუთრებით საინტერესოა
ბავშვის განვითარება					
ბავშვებთან კომუნიკაცია					
როგორ დაეხმაროთ ბავშვებს შინ სწავლის პროცესში					
ინფორმაცია მავნე ნივთიერებების მოხმარების ზეგავლენის შესახებ (თამბაქო, ნარკოტიკული ნივთიერებები, ალკოჰოლი)					
მოსწავლის თვითპატივისცემა					

ზეწოლა თანატოლების მხრიდან					
ჯანმრთელობა და კვება					
ქცევის წესები					
თანასწორობა და ჩართულობა					
ბავშვების სწავლისთვის მოტივირება					
დროის განაწილების უნარები					

გთხოვთ, ჩამოთვალოთ თქვენთვის საინტერესო სხვა საკითხები.

3. კომუნიკაცია

ჩვენ გვსურს, გვქონდეს თქვენთან გასაგები კომუნიკაცია და გვსურს, რომ თქვენ გქონდეთ ჩვენთან კომუნიკაციის საშუალება. კვლევის ეს ნაწილი ეხება სკოლაში არსებული კომუნიკაციის ფორმების ეფექტიანობას და მათ გამოყენებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩამოთვლილია ის გზები, რომლებითაც სკოლები ამყარებენ კომუნიკაციას მშობლებთან. გთხოვთ, შეაფასოთ თქვენს სკოლაში არსებული კომუნიკაციის ამ ფორმების ეფექტურობა.

	საერთოდ არ არის ეფექტური	ნაკლებად ეფექტურია	ნაწილობრივ ეფექტურია	მაღლიან ეფექტურია	განსაკუთრებით ეფექტურია	არ ვიცი	პასუხი არ არის
სასკოლო საინფორმაციო ბიულეტენი							
მშობელთა და მასწავლებელთა კონფერენციები							
სკოლის ვებ-გვერდი							
სატელეფონო საუბრები							
სასკოლო განცხადებების დაფა							
ელექტრონული ფოსტა							
ტექსტური შეტყობინებები (SMS)							

გთხოვთ, მოგვაწოდოთ კომენტარი კომუნიკაციის ნებისმიერ სხვა საშუალებაზე, რომლის სკოლაში გამოყენების მიზანშეწონილობის განხილვასაც ისურვებდით:

4. რამდენად ხშირად:

	არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	ყოველთვის
მიმართავთ სკოლას თქვენი ბავშვის თაობაზე					
ესწრებით მშობელთა კრებებს					
ამოწმებთ თქვენი ბავშვის საშინაო დავალებას					
ესაუბრებით თქვენი ბავშვის მასწავლებელს					
ესწრებით განსაკუთრებულ ღონისძიებებს (კონცერტები, წარმოდგენები)					
სტუმრობთ სკოლის ვებ-გვერდს					

5. მოხალისეობა

ბევრ სკოლას აქვს იმედი, რომ მოხალისე მშობლები დაეხმარებიან სასწავლო პროცესში, სასკოლო ღონისძიებებსა და გადაწყვეტილებების მიღებაში. ჩვენ გვსურს, გავიგოთ თქვენი მოხალისეობრივი გამოცდილებისა და იმ ბარიერების შესახებ, რომლებიც გიშლიდნენ ხელს, გამხდარიყავით მოხალისე.

ბოლო ორი წლის მანძილზე იყავით თუ არა მიწვეული სკოლაში, როგორც მოხალისე?

☐ კი ☐ არა

ბოლო ორი წლის მანძილზე გიძებნიათ თუ არა შესაძლებლობა, გამხდარიყავით მოხალისე სკოლაში?

☐ კი ☐ არა

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩამოთვლილი აქტივობებიდან რომელში მიგიღიათ მონაწილეობა ბოლო ორი წლის მანძილზე?

	კი	არა	აქტივობა არ ჩატარებულა
ეხმარებოდით ღონისძიების ორგანიზებისას/მსვლელობისას			
ხელმძღვანელობდით კლუბს ან აქტივობას			
ეხმარებოდით სპორტულ ღონისძიებებში			
იყავით მოხალისე ექსკურსიაში			
ეხმარებოდით სასკოლო ღონისძიების ორგანიზებაში			

მონაწილეობდით, როგორც მოხალისე			
მონაწილეობდით თანხების შეგროვების ღონისძიების წარმართვაში			

რა სირთულეები გქონდათ სკოლაში მოხალისეობის დროს? (გთხოვთ, შეამოწმოთ ყველა შესაბამისი პუნქტი, თუ სირთულეები არ გქონიათ, შეამოწმეთ მხოლოდ ბოლო პუნქტი).

- ☐ სხვადასხვა მოხალისეობრივი შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის არქონა
- ☐ შეუთავსებლობა ჩემს სამუშაო განრიგთან
- ☐ ბავშვებზე ზრუნვის პასუხისმგებლობის სიმძიმე
- ☐ იმის შეგრძნება, რომ სკოლაში არასასურველი სტუმარი იყავით
- ☐ მოხალისეობასთან დაკავშირებული მორიდებისა თუ ნერვიულობის გრძნობა
- ☐ ინტერესის არქონა მოხალისეობის მიმართ
- ☐ ინტერესის არქონა მოხალისეობრივი შესაძლებლობების მიმართ
- ☐ ენობრივი ბარიერი
- ☐ დროის უქონლობა
- ☐ სკოლის მიმართულებით მოძრავი ტრანსპორტის არარსებობა
- ☐ მოხალისეთა შერჩევის პროცესი (პოლიტიკის შემოწმება)
- ☐ ინფორმაცია მოხალისეობრივი ჩართვის შესაძლებლობის შესახებ არ იყო მიღებული დროულად
- ☐ სკოლაში მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვისთვის ბარიერები არ მქონია

6. სწავლის პროცესი შინ

სწავლება ხორციელდება სკოლასა და სახლში. კვლევის ეს ბოლო ნაწილი ეხება თქვენს ჩართულობას თქვენი შვილის მიერ საშინაო დავალებების მომზადების პროცესში. შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემის დროს ფოკუსირება მოახდინეთ მხოლოდ ერთ ბავშვზე, რომელიც ამ სკოლაში სწავლობს.

გთხოვთ, მიუთითოთ რომელ კლასში სწავლობს ბავშვი:

- ☐ პირველ კლასში
- ☐ მე-2 კლასში
- ☐ მე-3 კლასში
- ☐ მე-4 კლასში
- ☐ მე-5 კლასში
- ☐ მე-6 კლასში

რამდენად ხშირად იღებთ თქვენს ბავშვთან ერთად მონაწილეობას შემდეგ აქტივობებში?

	არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	ყოველთვის	პასუხი არ არის
დახმარება კითხვის უნარების განვითარებისთვის						
დახმარება წერის უნარების განვითარებისთვის						
დახმარება მათემატიკური უნარების განვითარებისთვის						
გამოცდებისთვის მომზადება						
საშინაო დავალების გაკეთება						
საშინაო დავალების შემოწმება						
ბავშვისთვის მასწავლებლის აყვანა						

კიდევ რა აქტივობებში იღებთ მონაწილეობას თქვენი ბავშვის სასწავლო გამოცდილების გასამდიდრებლად (მაგ.: ბიბლიოთეკაში სიარული, განსაკუთრებული ინტერესებისა თუ ჰობის წახალისება) ?

მშობელთა ჩართულობის აქტივობების დაგეგმვა

აქტივობების დაგეგმვის ფორმა შეიძლება იყოს გამოყენებული სასკოლო ღონისძიების დაგეგმვის ორგანიზებაში.

აქტივობის დასახელება:		
აქტივობის მიზანი (მიზნები):		
სამიზნე აუდიტორია:		
როდის განხორციელდება აქტივობა?		
<i>რამდენად ხშირად?</i>		
არსებობს თუ არა ბარიერები, რომლებიც მშობლებს ხელს შეუშლიან მონაწილეობის მიღებაში?		
• ენობრივი ბარიერი • მოუცლელობა ბავშვზე ზრუნვის გამო • რთული ოჯახური პირობები • ტრანსპორტი • დრო • სხვა		
რამდენად ხშირად ხერხდება ამ ბარიერების გადალახვა?		
კომუნიკაციის გეგმა (დანახარჯების გათვალისწინებით)		
უშუალოდ ვინ იქნება ჩართული ამ აქტივობის წარმართვაში (პიროვნება/ჯგუფები)?		
დავალებების განხორციელება		
დავალება:	საკონტაქტო ინფორმაცია:	დასრულების თარიღი:
როგორ გავიგებთ, რომ ჩვენი მიზანი არის მიღწეული?		
დამატებითი კომენტარი:		